წელიწადი პირველი
ფასი 5 კაპ.
ოთხშაბათი, 4 გიორგობისთვე 1915 წ.
№ 134

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მოწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

თავადნი ალექსანდრე და ნიკოლოზ ლევანის ძენი ჯორჯაძენი და ნინო ლევანის ასულისა თავად ყარალაშვილისა ულრმესი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ აბასტუმანში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და

ელენე თავად ლევანის ასული
ჯორჯაძე

ცხედრის დაკრძალვა მოხდება აბასტუმანშივე, ოთხშაბათს, გიორგობისთვის 4-ს.

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
✦ **ვერის დაღმართი № 1** ✦
ტელეფონი 17—05

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს **დოსტაქარი** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ზოგი რამ მომავალ არჩევნებისათვის

გუშინ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი ქალაქის გამგეობასა და ხმოსნების ხელში ქალაქისა და მის მკვიდრთა ინტერესი და საჭიროება უყურადღებოდ იყო მიტოვებული და ქალაქის მართველი და გამგებელი ორგანო განაგებდა და მართავდა ისეთ რამეებს, რასაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა საკუთრივ ქალაქის ცხოვრებასთან. ქალაქის თვითმართველობის ასეთი ზნე ყოვლად შეუწყნარებელია და ქალაქის მკვიდრი, რომელიც თავისი ინტერესის შეგნებული და ფხიზელი დარაჯია, მომავალ არჩევნების დროს უთუოდ უარს ეტყვის მანდატის განახლებაზე და შავ კენჭს მისცემს მას, ვინც წინად აირჩია და ოთხი წლის განმავლობაში იმედი არ გაუმართლა. ასე უნდა მოიქცეს ყოველი ცენზიანი მკვიდრი განურჩევლად თავისი პოლიტიკური რწმენისა და ეროვნებისა. წმინდა სამეურნეო თვალსაზრისი და პირადი ინტერესის დაცვა, ამ შემთხვევაში დაცვა **ქალაქის მკვიდრის ინტერესისა**, მოითხოვს ამას. ეს არის ერთი მხარე, ფრიად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა არსებითი **ჩვენთვის.** დღევანდელი ქალაქის გამგეობა და ხმოსანთა მთელი შემადგენლობა, ყოველგვარ საყვედურისა და კრიტიკის გარეშეც რომ იდგეს მკვიდრთა წინაშე თავ-თავის მოვალეობის აღსრულების მხრივ, **მაშინაც** არ შეგვეძლება არ გავილაშქროთ მისი **დღევანდელი სახის** წინააღმდეგ.

სულ ერთია, იდეალური იქნება, თუ ნაკლით სავსე ქალაქის დღევანდელი შემადგენლობის თვითმართველობა და მისი მოქმედება;—ჩვენ ორსავე შემთხვევაში თვითმართველობის წინააღმდეგ თანაბრად ვიბრძოლებთ. **აქ არის ჩვენი მდგომარეობის სპეციფიურობის ლუზი.** ეს სიმართლე უნდა აშკარად ითქვას, რომ შეუგნებელმა შეიგნოს, ხოლო შეგნებულებმა ერთმანეთის გულის ზრახვა გაიზიარონ და შემაერთებელ დუღაბით შემტკიცდნენ. ეს მომენტი წმინდა **ეროვნული მომენტისა** თბილისის ცხოვრებასა და არჩევნებში. **უჩვენოდ, გარეშე ქართველი ელემენტის სათანადო პროცენტისა,** თვინიერ ქართველი საზოგადოების, პროცენტის მხრივ, სათანადო თვითმოქმედებითი მონაწილეობისა ქალაქის თვითმართველობაში, ანგელოზებიც რომ სუფევდნენ თვითმართველობის ჰერ ქვეშ, ყოვლად შეუძლებელია და პრინციპიულად მიუღებელი იქნება რაიმენაირი შემადგენლობა თვითმართველობისა. და ეს უკანასკნელი ყოველთვის იქნება ნიშანში ამოსაღებისაგანი.

ეს ასე მოხდება, რადგანაც, ამას რომ მოითხოვს ის ფაქტორი უფრო ძლიერია ვიდრე თითეული ქართველის სურვილი თუ ნებისყოფა, თუ შესწავლილი დოქტრინა. იგი ერთგვარი კატეგორიული იმპერატივია ეროვნული სამართლიანობის დაუძლეველი ხმისა. ავია თუ კარგია საქმიანობა ქალაქ თბილისის თვითმართველობისა, ანგელოსურია თუ ბელზებელური მისი შემადგენლობა, ერთი რამ აუცილებელია ქართველისათვის, სახელდობრ ისა, რომ თავისი ხორცი ხორცთაგან, და სისხლი-სისხლთაგანი, უთუოდ იმდენი უნდა ყავნდეს ქალაქის თვითმართველობაში, რამდენიც ეს შეჰფერის, დღევანდელს პირობებში ქალაქის მკვიდრ ქართველობას. თვითმართველობის **ავშიაც** და **კარგშიაც** ქართველს პროცენტულად შესაფერისი წვლილი უნდა ედოს. ეს არის პირველი პლატფორმა შეკავშირებისა და თანამშრომლობისა, პირველი პირობა ქალაქის მართველობის ავ-კარგის ზნეობრივი განაწილებისა. ყოველ მიზეზის გარეშე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ჩვენი ეროვნული წილი თვითმოქმედებისა ქალაქის მოვლა-პატრონობის საქმეებში, თუნდაც დღევანდელი საარჩევნო წესებისა და ზნის ბატონობის დროს, როდესაც საარჩევნო უბნები ისე ოსტატურად არის განაწილებული რომ ქართველი მრავალ რიცხოვანი ამომრჩეველი სომეხთა ცენზიანებშია გათქვეფილი და უსახოდ დაკარგული.

პროცენტული მონაწილეობა ქართველობისა ქალაქის სვე-ბედის მართვა-გამგეობაში,—ეს არის მინიმუმი სამართლიანობისა, მინიმუმი მოთხოვნა დღევანდელს პირობებში.

ეს მომენტი, ეს წმინდა **ეროვნული მომენტი** ჩვენთვის ყველა ღირებულების საწყაოა და აღვნიშნავთ მას ხაზ გასმით.

ვერც ერთი ქართველი ამას ვერ გაექცევა: რაც უფრო მალე დაისადგურებს ქართველ კაცში ეროვნული შეგნება და თვითცნობიერება, რაც უფრო მალე ეზიარება იგი ეროვნულ აღორძინების შემოქმედებას, მით უფრო მალე შეუდგება ამ ეროვნული მომენტის, ეროვნული პრინციპის ჯვარის ზიდვას. დღეს თუ ხვალ, ყველა ქართველი აქ უნდა მობრძანდეს და მორჩილად თავი დაჰხაროს. შეგნებულები დღესვე უნდა ჩაებან ბრძოლაში...

მით უფრო, ვერც ერთი ანტიქართული პოლიტიკა თუ ზრახვა ვერ ასცდება, საქართველოს ფარგლებში, ამ ქართველ ეროვნულ მომენტის იმპერატიულ-ბრძანების მოსმენას და მორჩილად მის ყურადღებას. რაც უფრო მალე შეიგნებენ ამას, რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მოგებული დარჩება როგორც ერთი, ისე მეორე მხარეც. ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ და შეგნებული გვქონდეს მთელის ჩვენის არსებით. ამ შეგნებამ უნდა აწარმოვოს ჩვენი საარჩევნო პოლიტიკა, ყოველგან, სადაც დაუნდობელმა ბედის ტრიალმა ერის აკვანიც და საფლავიც დასაპყრობად გაგვიხადა.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიპლომატიურ სფეროში.

საუბარი და ცნობები.

რუსის დიპლომატიური წყაროებიდან ირკვევა, რომ მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარი, ბალკანეთში რომ მოქმედობს, 100.000 აღწევს. რუსეთის დიპლომატიურ წრეებში სერბეთის ამბებმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

——

ამას წინად გავრცელებული ხმები, ვითომც ბერლინში დიდი არეულობა უნდა მომხდარიყოს და მთავრობას შემოეღოს საალყო წესები და ამ არეულობის მთესველნი ვითომც სოციალისტური ორგანიზაციები ყოფილიყვნენ რუსის დიპლომატების სიტყვით, როგორც ამას „ნოვოე ვრემია“ ირწმუნება, საფუძველს მოკლებულია.

ვილჰელმის გავლენა

საკმარისი იყო სტამბოლში ერთი მუჭა ავანტიურისტი მიემხრო გერმანიას რომ მთელი ოსმალეთი ომში ჩაეთრია. საკმარისი იყო სოფიაში მარტოდ მარტო ფერდინანდი კობურთელი ხელში ჩაეგდო, რომ მთელი ბულგარეთი, წინააღმდეგ ხალხის სურვილისა და მისწრაფებისა, თავის მხარეზე გადაეყვანა. ვილჰელმის გავლენა რუმინეთსა და საბერძნეთში უფრო ძლიერია, ვიდრე შინაგანი ლტოლვა და გულის ძახილი ამა თუ იმ ერისა. ეხლა შვეციაში სიმხნევეს უმატა გერმანეთის დიპლომატიამ. მეფის მთელი ამალა და მისი გარშემო წრეები გერმანიის მომხრეა. მაგრამ თვით ხალხი და მეფე ჯერ განზე სდგანან. გერმანიის შვეციაში ჯერ კიდევ ხელთ ვერ უგდია ამ ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი ნერვები და გერმანეთის დიპლომატიის გამარჯვება აქ დღეს-დღეობით შეფერხებულია.

სერბეთში

სერბეთის ჯარი მომწყვდეულია. იგი ვერ მიიღებს სამხედრო სურსათსა და მასალას, მდგომარეობა სერიოზულია. გერმანელები და ავსტრიელები ერთ წუთს არ კარგვენ და უფრო და უფრო მეტ ძალებს აგროვებენ, რომ აღსრულებაში მოიყვანონ თავიანთი საშინელი განზრახვა სერბეთის გასრესისა. ორშოვეში ჩამოდის დიდძალი ავსტრიელ-გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც მყისვე ილაშქრებენ სერბეთის წინააღმდეგ.

——

პეტროგრადის მაღალ პოლიტიკურ წრეებში „ნოვოე ვრემიას“ გაუგია:

სამხედრო მოქმედების გარდა, გერმანეთი არაჩვეულებრივის სიმხნევით ილვწის რომ რუმინეთი და საბერძნეთი დაიყოლიოს. ათინაში გერმანელებმა უკვე ბევრს მიაღწიეს. საბერძნეთის მეფე ხელშეკრულობით შეეკრა ვილჰელმს, რომ ბოლომდის ნეიტრალობას დაიცავსო.

საბერძნეთი მეგობრობს ბულგარეთს.

„Daily Telefraph“-ის ცნობით, ბულგარეთ-საბერძნეთის ურთიერთობა თანდათან მეგობრულ ხასიათს იღებს. ყველა თანდათან რწმუნდება რომ მათ შორის ხდება სრული შეთანხმება სერბეთისა და ალბანეთის განაწილების შესახებ.

კავკასიის ბრძოლის პირი.

სპარსეთი.

ურმიაში.

ურმიის რაიონში, პიგრში შეგროვდა ოთხასზე მეტი ოსმალო ასკერი და სპარსის ფიდაები სპარსეთის მოლები რუსეთის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან.

სპარსი მოხალისენი

დიდძალი სპარსი მოხალისე, რომელსაც გერმანელები მოუძღვიან, გამოემართა ბენდერ-ბუშირისაკენ. მოხალისეთ თან მოაქვთ ორი სამთო ზარბაზანი.

ოსმალეთი.

ზღვისპირა რაიონში.

უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში ოსმალები თორმეტჯერ შეეცადნენ შემოტევას ღამით და დილა ადრიან, ნისლის დროს. ყველაზედ სერიოზული შემოტევა მოხდა 9 ღვინობისთვეს, არხოვეს შესართავთან ახლო. მიუხედავათ იმისა რომ რუსები მიზანში სცემდენ, ოსმალებმა ქვებისა და კლდეების შემწეობით მაინც შესძლეს განევითარებინათ თავიანთი სამხედრო მოქმედებანი. 9 ღვინობისთვეს, ღამე ოსმალები საერიშოთ განემზადნენ და ამავე დროს ცდილობდნენ რუსებისთვის მოეჭრათ ხელსაყრელი გზა უკან დასახევად. ოსმალებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით, იქაური ადგილის ზედმიწევნით ცოდნით და დაიწყეს შემოტევა და ძალიან მიუახლოვდენ რუსის მოდარაჯე რაზმებს. რუსებმა შეთანხმებული სროლა ასტეხეს. პირველად ოსმალნი დიდის ენერგიით უპასუხებდნენ; მაგრამ რუსებმა სროლას უმატეს თუ არა, ოსმალთა შემოტევაზე ხელი აიღეს და უკან დაიხიეს. ორივე მხარეს საკმაო ზარალი მოუვიდათ.

კავკასიის ასპარეზი.

ჯოროვში.

მეტად მკაცრი შეტაკება მოუვიდა რუსის მოწინავე რაზმს სოფელ სპერემიდან მომავალ ოსმალებთან. შეტაკება მოხდა მდ. ახმად-ბიდერეს ნაპირზე, სოფელ ჯოროვას რაიონში, ბერგემირის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით. ოსმალები ძალიან შეეცადნენ რუსების გარეკვას, მაგრამ ვერას გახდნენ. ამ რაიონში ოსმალები დიდ მედგრობას იჩენენ.

ვანის ტბასთან.

ვანის ტბის სამხრეთ რაიონში, რუსების მოწინავე რაზმებს შეტაკება მოუვიდათ ქურთებთან, დაბა შატახთან, რომელიც მდებარეობს მდ. ფოსტანჩაის და მდ. ბოტონსუს შესართავთან. ქურთებს ბლომად თავი მოეყარათ. დაყოფილან ნაწილ-ნაწილ და დაუჭერიათ საფარი ადგილი.

შვეციაში.

შვეციის რიკსდაგში სულ 270 წევრი დეპუტატია. მათ შორის 82 მემარჯვენეა. ყველა მემარჯვენე ომის მომხრეა და გერმანიის მეგობრობა და მასთან კავშირი აუცილებლად მიაჩნიათ. 55 თავისუფალი მოაზრეა, და 87 სოციალისტი და ექვსი უპარტიო. სოციალისტები და თავისუფალი მოაზრენი ნეიტრალობის მომხრენი არიან.

მრეწველობის მობილიზაცია.

სამხედრო საჭიროების დასაკმაყოფილებლად საფრანგეთმა იმთავითვე მოახდინა ეროვნულ მრეწველობის მობილიზაცია. წესი ამ მობილიზაციისა ასეთი იყო: მთელი საფრანგეთი დაიყო რამოდენიმე სამრეწველო ოლქად. თითეულ ოლქის თავში იდგა მთელს ოლქში უმთავრესი ქარხანა, სამხედრო მასალის დამამზადებელ ქარხნებ შორის. ამ ოლქის ყველა სხვა ქარხანა, საშუალო და დაბალი ტიპისა, ამ მთავარ ქარხნისაგან იღებს ყოველგვარ ცნობას და განკარგულებას, თუ რა და როგორ დაამზადოს. უფრო ხშირად თვით ნედლი მასალაც ამ მთავარ ქარხნისაგან მოსდით.

——

სერბეთის ჯარის მიმართულება.

სერბეთის მთავარი ჯარები ორ მიმართულებით იხევენ უკან. არმიის ერთი ნაწილი მთაშავეთისკენ მიეშურება. სამხედრო ტრანსპორტები და ჯარის სხვა ნაწილები კრალიევიდან აქეთკენ იგზავნებიან. სერბეთის არმიის მეორე ნაწილი მაკედონიაში იყრის თავს. ამ ნაირად სამხედრო ოპერაციათა სიმძიმის ცენტრი ბალკანეთში თანდათან ახალ-ბაზრის სანჯაყში და სამხრეთ მაკედონიაში.

სამხედრო მასალა

ბულგარეთის პორტებში. ჩამოიტანეს სულ რვაასი ვაგონი სამხედრო მასალა. ბევრია თოფი, ზარბაზანი და ყუმბარა. ამ მასალის გადამზიდავ ხომალდებს გზაში იცავს ავსტრიის მანიტორები და ნაღმოსნები. ამ მასალის ერთი ნაწილი თურმე ოსმალეთისთვის არის დანიშნული.

ბულგარული ენის გამეფება

ბულგარეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით დაპყრობილ სერბეთში ოფიციალ ენად, ბულგარულია გამოცხადებული.

——

ფრანგული გაზეთი „Matin“ იუწყება: ბალკანეთში ავსტრიელებსა და გერმანელებს ჰყავთ არა ნაკლებ 400000 ჯარისკაცისა; ბულგარებს—450000 და ოსმალებს 50 ათასი.

——

როგორც იგივე გაზეთი იუწყება, ფელდმარშალი მაკენზენი თხოულობს ახალ მაშველ ჯარებს და უკანასკნელ დღეებში გერმანელთა ახალი სამი კორპუსი სერბეთში ჩამოსულა, ვითომდა დანაკარგის შესავსებად.

რუმინეთი

სამეფო ბჭობა.

რუმინეთის პალატის ახალ სესიის გახსნის წინ გაიმართება სამეფო ბჭობა, რომელსაც მეფისა და მთავრობის გარდა დაესწრებიან აგრეთვე პოლიტიკური პარტიების მთავარი წარმომადგენლები. სამეფო ბჭობაში გაირჩევა საკითხი, თუ რა გზას დაადგება რუმინეთი. გერმანეთის დიპლომატია ამ თავითვე შეუდგა მუშაობას, რომ თავის სასარგებლოდ გადმოხაროს რუმინეთის მთავრობა.

მინისტრების გამოცვლა.

ხმებია, ის მინისტრები რომლებიც გერმანოფილურ პოლიტიკას არ იზიარებან, რუმინეთის სამინისტროდან წავლენო. ასახელებენ, ვაჭრობისა და იუსტიციის მინისტრს ანტონესკუს. სასაცვლოდ სამინისტროში შემოდის გერმოფილი ვინტილი ბრატიანო, ძმა რუმინეთის პრემიერისა. და ბ-ნი სტელიანუ.

გამოქცეული სერბები.

სიკვდილს გადარჩენილი სერბები ჯგუფ-ჯგუფად მოდიან საბერძნეთში. მათი გაჭირვება კალმით აუწერელია. უმეტესობას ტანისამოსი შემოხეული აქვს და ხორცი მოუჩანს. საბერძნეთის მოსამზღვრე ოლქების უფროსები მათთვის ფულს აგროვებენ.

ავტომატიური თოფები.

რიგა-დვინსკის რაიონში გერმანელების ჯარში ამ ბოლო დროს გაჩნდა ავტომატიური თოფები. თითეული ავტომატიური თოფი წუთში ოცდახუთჯერ ისვრის.

— ამავე რაიონში გერმანელებმა დიდძალი ზარბაზანი ჩამოიტანეს, რომელთა შორის არის გერმანელთა უმძიმესი ზარბაზნებიც.

მოკავშირენი ბალკანეთში.

ბერლინში ცნობა მოვიდა, უკანასკნელ დღეების განმავლობაში ინგლისელებმა საკმაო ჯარი გადმოსხეს სალონიკში.

——

Daily Chronicle“ იუწყება, 40,000 ინგლისელი გაეშურა ბულგარეთის სამხრეთის ფრონტისაკენ, სადაც ფრანგებსა და ბულგარებ შორის სასტიკი ბრძოლა არის გაჩაღებული.

——

გაზეთ „სტამპას“ კორესპონდენტი იუწყება, ფრანგებს ხელსაყრელი პოზიციები უჭირავს სტრუმიცის, კროვოლაკას და ნეგოტინის რაიონებში.

ავსტრო-გერმანელთა ჯარის დანაკლისი.

ფრანგულ გაზეთების ცნობით, სერბეთის ფრონტზე ღვინობისთვის პირველ ნახევარში ავსტრო-გერმანელთ დაუკარგავთ 120,000 მეომარი, გალიციაში 45 ათასი, სხვა ფრონტებზე—120,000 კაცი, სულ 285 ათასი კაცი. ხოლო ბულგარ-ოსმალთა ლაშქარს ამავე ხნის განმავლობაში დააკლდა ოც-ოცი ათასი.

უკანასკნელი ფოსტა

ფრანგული პრესა ასე ახასიათებს საბერძნეთის ვითარებას: საბერძნეთი უკვე გარკვეულ გზას ადგება. ამ ჟამად მეფე და მისი გვირგვინი ბერძნის ხალხის სურვილის წინააღმდეგ და შეთანხმების სახელმწიფოთა სამტროდაა მიმართული.

— სერბეთის მეფის სახლობა და მთავარი სამხედრო ბანკი მონასტირში გადავიდა.

— ოსმალეთისა და ბულგარეთის ელჩებმა, რომლებიც ათინაში იმყოფებიან, პროტესტი განუცხადეს საბერძნეთის მთავრობას, საბერძნეთის მაკედონიაში მოკავშირეთა ჯარების ყოფნის გამო. საბერძნეთის პრემიერი შეჰპირდა, ყველაფერს მალე სასურველად მოვაგვარებო.

— საფრანგეთის მთავრობა იუწყება, ყალბია ცნობა, ვითომც მოკავშირეებს ველესი აეღოთო.

— საბერძნეთის პალატის დათხოვნას გერმანეთის საზოგადოებრივი აზრი აღფრთოვანებით მიეგება. ბულგარებსა და მოკავშირეთა შორის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო.

— ამბობენ მაკენზენი მსუბუქად დაიჭრა ბელგრადის აღების დროსაო.

— მინისტრთა საბჭომ „ნოვ. ვრ.“-ს თანამშრომელს ქსიუნინს აუკრძალა იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, გაზეთის 22 ღვინობისთვის ნომერში მოთავსებულ ცნობისათვის, ვითომც რუსებს ჯარები გადაესხათ ბულგარეთის ზღვის პირას, ვარნაში.

ბალკანეთში.

სამხედრო ავტორიტეტები ფიქრობენ, რომ სერბეთის მდგომარეობა იქნებ რამდენადმე გამოკეთდეს რაკილა ვალანდოვთან მტერს საგრძნობლად გაუმკლავდნენო. უკან დახევის საკითხი რამოდენიმე დღით გადაიდო.

— საბერძნეთის პოზიცია ფრიად გამოურკვეველია. ინგლისელთა ცნობებით ბერძნები მონასტრის საზღვარს ამაგრებენ. გერმანელთა ცნობებით ბულგარეთმა უზრუნველჰყო საბერძნეთის ინტერესები ალბანეთში. თითქმის მონასტერსაც კი უთმობენ საბერძნეთსაო.

— იტალეთი მიაშველებს ჯარებს თუ არა სერბებს, ჯერ ნაადრევი ხმები გამოდგა. მიუხედავად ამისა, იტალეთი პოზიციას იცვლის, როდესაც ბულგარეთი ადრიატიკის ზღვისკენ მიისწრაფვის.

— დიპლომატთა შორის ხმებია, რუმინეთი ოთხთა კავშირის სასარგებლოდ იხრებაო.

— ვილჰელმის სტამბოლში შესასვლელ მზადებას გვერდით წამოუყენეს რუსის ჯარების გარდაწყვეტილი მოქმედება სპარსეთში.

— ავსტრიელებმა დაიჭირეს კუნძული გურავაი, რომელიც რუმინებს ეკუთვნის.

— საბერძნეთში გერმანელი ოფიცრობა მიდის და რადიო ტელეგრაფებს აწყობენ.

კოველი.

მცხოვრებნი გაიყვანეს. ქალაქი ფრიად გაამაგრეს, თუმცა ჯარები ნაკლებად ჰყავთ. მინსკის რაიონში გერმანელთა 5 ჰაეროპლანი შეიპყრეს. ორი სულ დამტვრეულია. 5 მფრინავი დაიღუპა, 6 ტყვედ წამოიყვანეს.

ვარშავაში.

გერმანელთ ვარშავისთვის სამი მილიონი კონტრიბუცია დაუდვიათ.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 2 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონში რუსებმა 5—6 კვლავ უკან დაახევინეს გერმანელებს. რიგის ზემოდ მოწინავე რაზმთა შეტაკება მოხდა, განსაკუთრებით კუნძულ ოალონის რაიონში. დვინაზე ფრიდრიხშტადტის და იაკობშტადტის რაიონებში სიწყნარეა. ილლუქსთან რუსის ჯარებმა მარჯვედ რამდენჯერმე დასძალეს მტრის ხელოვნურად აგებულ ჯებირებს და დაბის სასაფლაოს ერთი ნაწილი დაიჭირეს. დაბა დრისვიატის გერმანელებმა მძიმე ზარბაზნებიდან დაუშინეს. დანარჩენ ფრონტზე პრიპიატამდე სიწყნარეა. ჩარტორისკის ჩრდილო და დასავლეთ რაიონებში 31 ღვინობისთვეს მტერი მთელი დღის განმავლობაში მძიმე არტილერიიდან უშენდა და ქარიშხალისებურ ცეცხლს აყენებდა. სალამთი ამ დღეს მტერმა რამდენადმე წინ წამოიწია დაბა პოდგატის აღმოსავლეთ რაიონამდე. ბრძოლა მდ. სტირზე გადასასვლელად სასტიკ ხასიათს იღებს და ჯერაც არ შეწყვეტილა. დანარჩენ ფრონტზე სამხრეთით და გალიციისკენ სრული სიწყნარეა. მთელ თვის განმავლობაში დასავლეთ ფრონტიდან რუსებს ტყვედ წამოუყვანიათ 679 აფიცერი და 49,200 ჯარ. კაცი, ამასთანავე წაურთმევიათ 21 ზარბაზანი, 118 ტყვიისმფრქვეველი, 18 ყუმბარის მფრქვეველი და 3 პროჟექტორი.

კავკასიის ფრონტი. შავი ზღვიდან მდ. არაქსამდე მოწინავე რაზმთი შეტაკებაა. ვანის ტბიდან რუსის სამხედრო ხომალდი ზარბაზნებს უშენდა სოფ. ახთამის რაიონს. ზოგიერთ ადგილას თოვლი სამ არშინზეა.

ბრძოლის ველზე

ბრძოლის სიმწვავე კვლავ ჩარტორისკის რაიონით არის შემოფარგლული. წინა დღეების დეპეშებიდან ვიცით, სოფელ პოდგატიესთან რომ გაცხარებული ბრძოლა იყო, სწორედ ისე როგორც სოფელ მედვეჟიესთან, პირველი მდებარეობს 6—7 ვერსის მანძილზე ჩარტორისკიდან, ჩრდილო-დასავლეთით, მეორე ათიოდე ვერსის მანძილზე ჩარტორისკიდან, პირველისაზე უფრო ჩრდილოეთით. აქ გერმანელები მდ. სტირას აწვებოდენ და მის გადმოლახვას ლამობდენ. რუსები უძალიანდებოდნენ და გზას უკრავდნენ მდინარისაკენ. სამი ნოემბრის დეპეშის ცნობით ჩარტორისკის რაიონში გერმანელებს არტილერიის ჩვეულებრივი ქარიშხლოვანი ცეცხლი გაუჩაღებიათ. ეს მომხდარა 31 ოქტომბერს და ამავე დღეს საღამო ჟამზე, გერმანელები წინ წამოწეულან სოფელ პოდგოტიედან აღმოსავლეთისაკენ. მდინარე სტირაზე გადასასვლელი შეუპოვარი ბრძოლა არ შეწყვეტილა, სჩანს აქ რუსებს უსუსტნიათ. უფრო სამხრეთით და გალიციაში, შტაბის უწყებით, სიწყნარეა. ბრძოლის ჩრდილოეთის წვერზე კანგერის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებს 5—6 ვერსი უკუ დაუხევიათ. რიგის ზემოდ, დვინაზე, დალონის ტბის რაიონში მოპირდაპირეთა მოწინავე ძალებს შეტაკება მოსვლიათ. უფრო ზემოთ ფრიდრიხშტადტისა და იაკობშტადტის რაიონში სიწყნარეა. დაბა ილუკსთან ბრძოლის შემდეგ რუსებს დაუჭერიათ ამ დაბის სასაფლაოს ერთი ნაწილი. გერმანელების მძიმე არტილერიას ყუმბარები დაუშენია დ. დრისვიატისათვის. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ ყოფილა.

კავკასიის ბრძოლის პირზე შავი ზღვის პირიდან მოყოლებული მდ. არაქსამდე მოწინავე რაზმების ჩვეულებრივი შეტაკებაა.

მეგრი.

ახალი ამბავი

სასიამოვნო დეპეშა. გუშინ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან მ. ვ. მაჩაბლისაგან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებს ხაზინადარმა ვ. რ. ყიფიანმა: ტატიანას სახელობის კომიტეტმა გადასწყვიტა ამ თავით გაუგზავნოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას 37.000 მანეთი, ხოლო ყოველთვიურად 11 ათასი მანეთი. ამ ფულით, სხვათა შორის, უნდა დაარსდეს ქედას ანუ ხულოში საავადმყოფო. გარდა ამისა იმედია, რომ იმ ნახევარ მილიონ მანეთიდან, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა მეფის ნაცვლის განკარგულებაში, საზოგადოებას მიეცემა 50.000 მანეთი.

◆ **მინისტრთა საბჭომ** დაადგინა მოპირდაპირეთა ქვეყნებიდან საქონლის შემოზიდვის ამკრძალველი კანონი 1 ქრისტეშობისთვემდე ძალაში არ შევიდეს.

◆ **მინისტრთა საბჭომ** ფინანსთა მინისტრის შუამდგომლობით, 10 მილიონი მანეთი გადასდო ხაზინაში წარდგენილ ოქროს პრემიად. პრემია მიეცემა არა მარტო ოქროს მწარმოებელს, არამედ ყოველ კერძო პირს, ვინც ხაზინაში წარადგენს ოქროს. თითო მისხალ ოქროს 7 მან. და სამ შაურად აიღებენ.

◆ პეტროგრადში არსებულმა **ქალთა თანასწორობის ლიგამ** დაადგინა განათლების მინისტრის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ქალები უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს იმავე წესით მიიღონ, როგორც ვაჟები, რა თქმა უნდა თანაბარი განათლების ცენზით აღჭურვილნი.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას** კრება შესდგება დღეს, საღამოს 8 ნახევ. საათზე.

◆ **აჭარელთა დახმარება.** ამ დღეებში აქ მოელიან ბათომში ახლად დაარსებულ ქალაქთა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, რომელიც კავკასიის ქალაქთა კავშირის ბიუროს ვრცელ მოხსენებას წარუდგენს ბათომის ოლქიში ომისაგან დაზარალებულთა შესახებ. თავ. ანდრონიკაშვილს აზრად აქვს გარკვეული ინსტრუქცია მიიღოს ბიუროსაგან დაზარალებულთა შორის ფულ'ის განაწილების შესახებ.

◆ **დადგენილების დამტკიცება.** ქალაქის საბჭოს დადგენილება 3 მილიონ მანეთის სესხად აღებისა სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად, გუშინ, 3 გიორგობისთვეს, ქალაქის მოურავმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა.

◆ ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის უფროს ექიმს **ალექსი მანსვეტოვს** წმ. ანას მეორე ხარისხის ჯვარი ებოძა.

◆ **შაქარი და რკინის გზის წესები.** თბილისში გირვანქა შაქრის ფასი 24 კაპიკამდე ავიდა. შაქარი ცოტ-ცოტათი მოდის, მაგრამ როგორ და სად ჰქრება, ვერავის გაუგია. ქალაქის თვითმართველობას, კარგა ხანია, ადესაში 50 ვაგონი შაქარი აქვს ნაყიდი, მაგრამ წამოღება ვერ მოუხერხებია.

დაჭრილები და მოკლულები.

ჭრილობისაგან გარდაიცვალა პრაპორშჩიკი იაკინთე კონსტანტინეს ძე **მიხხაიშვილი**.

კონტუზია მიუღია (გაოგნებულა) 1) პრაპორშჩიკ სერგი კონსტ.-ძე **მჟავანაძეს** და 2) პრაპორშჩიკ მიხ. სპირ.-ძე **თოფურიას**.

◆ უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ **სარკინისგზო დროებით გარდასახადი**, როგორც ბარგზეა, ისე სამგზავრო ბილეთებზე წამატებული, მოქმედებაში დარჩეს 1916 წლის 31 დეკემბრამდე.

◆ **ახალი გარდასახადები.** ბარკის განკარგულებით ამ დღეებში მოხდება საუწყებათა შორისო თათბირი ახალი გარდასახადების შემოღების გადასაწყვეტად. განზრახულია: 1) 1 პროცენ. გარდასახადი დაედოს მსხვილსა და წვრილ ქონებას, რაიც ხაზინას მისცემს 400 მილიონ მანეთს წელიწადში; 2) შემოსავლის კვალობაზე გარდასახადი 7 პროც.—50 პროცენტამდე და გარდასახადი შრომისა 3 ნახევრიდან 25 პროც. ამ დარგის შემოსავალი ნავარაუდევია 600 მილ. მან. განზრახულია ეს გარდასახადი სამ წელიწადზე განაწილდეს და ყოველ წელიწადს ხაზინა მიიღებს 100 მილ. მან. 3) ვისაც 20,000 მანეთამდე შემოსავალი აქვს 2 პროცენტი სასარგებლოდ უნდა გადიხადოს, ხოლო ყოველ ზედმეტ 10 ათას მანეთზე თითო პროცენტი წაემატება.

◆ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და მაჰმადიანი ქართველები.** საზოგადოების ბათომის განყოფილების წევრებმა დაიარეს შავშეთისა და იმერხევის სოფლები და ფულად დაურიგეს: გადამწვარ ოჯახებს, გადმოხვეწილებს და მოუსავლობისაგან დაზარალებულთ თითო ოჯახს 10 მანეთი, ომისაგან და „ჩეტნიკებისაგან“ დაზარალებულთ თითოს 5 მანეთი, დანარჩენებს სამ-სამი მანეთი. შავშეთისა და იმერხევის შემდეგი სოფლების ოჯახებმა მიიღეს დახმარება: შავშეთში 27 ოჯახმა, გარკილობანში 14, ბოლგანაში 34, ქუჩუენში 35, მამანელისში ორმოცდა ათმა, სათლელში 3, ველში 5, ციხისში 2, წყალისფერში 63, სერაფინში 7, წითლოვანში 6, დიობანში 7, წყალისმერეში 3, იკეთში 24 და იფხრეულში 17.

◆ **რედაქციამ მიიღო** პედაგოგიურ ჟურნალი ოქტომბრისა და ნოემბრის ნომერი „განათლება“ შემდეგის შინაშინაარსით: 1) ოტტო ლიჰმანი— პსიხოლოგია პედაგოგთათვის—**ლ. ბოცვაძე**. 1) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა—ადამიანის მუცლის ჭიები—**ილია ალხაზიშვილი**. 3) „ტყვე კავკასიისა“, სალიტერატურო გარჩევა—**ვახტანგ კოტეტიშვილი**. 4) რიჟრაჟზე სათქმელი (დასასრული)—**ალექსი ჭიჭინაძე**. 5) მასწავლებელთა კურსები და გიმნასტიკა—**ია ნარიძე**. 6) მხატვრული შემოქმედება სკოლაში (ხატვა და ძერწა)—**ნიკ. სირბილაძე**. 7) თ-დი გრიგოლ ორბელიანი და მისი პოეზია (გაგრძელება)—**ილ. ფერაძე**. 8) ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში.—**თავისუფალი სვანი**. 9) აღმზრდელის უმთავრესი თვისება—**გ. ა—ნი**. 10) სამართლიანი, თუ უსამართლო საყვედური?—**ლადო ბზვანელი**. 11) დამარხული მუზა—**ლადო გეგეჭკორი**. 12) ვაჟაფშაველას—**ილია გოგია**. 13) ვაჟას ხსოვნას—**გელა**. 14) შემოდგომა—**გ. ლეონიძე**. 15) სურათი; საკუთარი ლეგენდა (ციხის რგოლთან)—**ლადო გეგეჭკორი**. 17) გ. ლეონიძეს—**ვაჟა-ფშაველა**. 18) ოცნების მხარეს—**კიკნა ფშაველა**. 19) არწივი და ბოლოშავი—**ს. აბულაძე**. 20) უხილავის სიმღერებიდან...—**გ. ლეონიძე**. 21) ჰანგები—**ლ. ძიძიგური**. 22) მზიურს ვაჟას—**გ. ლეონიძე**. 23) შემოდგომის მელოდია—**ა. გაფრინდაშვილი**. 24) დაკარგული ბედნიერება...—**ს. ტაიფური**. 25) ნეტავი მას...—**დ. თურდოსპირელი**. 26) უიალქანო—**მიხეილ ბოჭორიშვილი**. 27) შურის ძიება (ამბავი)—**ზ. ედილი**. 28) ხატის მიზეზი—**მაქსიმე ვეკუა**. 29) გარდახვეწილი ვარსკვლავი—**არ. ფანცულაია**. 30) რად გამიარჯლა ჭრილობანი?.. **დ. თურდოსპირელი**. 31) ჭრიჭინა და დუმფარა (ევალდი)—**კატო ბაქ—ძე**. 32) რუსული ენა სახალხო სკოლებში—**ნიკ. ჭამუშაძე**. 33) შინაური მიმოხილვა—დედა ენა სკოლებში—**სიტყვა** და სხვ.

ქალაქის საბჭო

2 გიორგობისთვეს საბჭოს კრება მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, საღამოს 8 ნახევარ საათზე. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ კრებას მოახსენა გარდაცვალება ცეცხლის მქრობელ რაზმის, ბრანდმეისტრის კ. ნ. კალმიკოვისა, რომელმაც თავის ხანგრძლივ სამსახურის განმავლობაში რიგიანად [illegible] ცეცხლის გაქრობის საქმე [illegible]. [illegible] გვირგვინით შეუმკია მიცვალებულის კუბო, 100 მანეთი გადაუცია მიცვალებულის მეუღლისათვის დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად და მთელი გამგეობა დასწრებია განსვენებულის გამოსვენებას. საბჭომ მოიწონა გამგეობის მოქმედება და მიცვალებულის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

შემდეგ კრებამ თავის წარმომადგენლებად კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში აირჩია **გ. დ. ჟურული და არ. ს. ბაბოვი**.

რამდენიმე ხმოსანი შეეკითხა გამგეობას: რა მიზეზია, რომ თითქმის ყოველ წლობით წყლისადენის მთავარი მილი სკდება კირკის ქუჩაზე და რატომ გამგეობა რაიმე ღონისძიებას არ ხმარობს ამის წინააღმდეგო?

ა. მ. არღუთინსკიმ (გამგ. წევ.) უპასუხა: კირკის ქუჩის ქვეშ ნიადაგი ისეთია, რომ მილი ჩქარა ფუჭდება. ხოლო გალერეის გაკეთება მილისათვის ძვირიც დაჯდება და თითქმის მოუხერხებელიც არის, რადგან ხსენებულ ქუჩის ქვეშ, ქუჩის ორივე მხარეს, წყალსადენის ორი მაგისტრალია, შუაგულ ქუჩის ქვეშ ქალაქის არხია გაყვანილი და ამავე ქუჩის ქვეშ ტრამვაის საზოგადოებასაც მინები აქვს ჩაყრილი, ასე რომ გალერეის გასაკეთებლად ქუჩის ქვეშ ადგილიც არ არის. საბჭოს ტეხნიკურ კომისიის თავმჯდომარე ხმ. ანტონოვი თბილისში არ იმყოფება, ხოლო მისმა თანაშემწემ ხმ. არ. ს. ბაბოვმა, თუმცა რამდენჯერმე ვსთხოვეთ ეკისრა ხსენებული საქმის ტეხნიკურად მოწესრიგება, მაგრამ უარი განაცხადაო. გამგეობა ამ საქმეს დიდ ყურადღებას მიაქცევს და ყოველივე წარსულის გასწორებას ეცდებაო.

ხმ. დოლუხანოვი. გამგეობამ იცის თუ არა, რომ როცა ამ დღეებში წყლის მილი გასქდა და მტკვრის მარჯვენა მხარეს ბევრგან წყალი სრულებით არ მოიპოვებოდა, ვერაზე, წყნეთისა და ოლგას ქუჩების შესართავთან ქალაქის ონკანი იძლეოდა წყალს და იქ მოსამსახურენი თითო ვედრო წყალს თითო კაპიკად ჰყიდდნენო? როგორც ქალაქის მოურავმა განაცხადა, ასეთი საჩივარი ხსენებულ მოსამსახურეებზე ბევრი მისულია გამგეობას და საქმის გამოძიება გამგეობას მიუნდვია ინჟენერ **ლ. ნ. დიასამიძისათვის**.

ამის შემდეგ კრებამ მთელი დრო მოანდომა საკითხის განხილვას **სურსათის ყიდვა-მოტანის** მოწესრიგების შესახებ. ამ საგნის შესახებ საქმის მდგომარეობა მოახსენეს საბჭოს ქალაქის მოურავმა **ა. ი. ხატისოვმა** და გამგეობის წევრმა **მ. ა. ჯაბარმა**. საქმის მდგომარეობა ასეთია:

საკვების ყიდვა და მოტანა საჭიროა არა მარტო თბილისისათვის,

ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულობიდან.

I

პეტრე დიდი კავკასიაში.

ეს იყო 1720 წლის მარტის მუწურულში, ხოლო 1721 წლის დეკემბრის პირველის რიცხვებიდან საომარ სამზადისს შეუდგნენ და ნელ-ნელა ჯარების გზავნა იწყეს ასტრახანისაკენ. ასტრახანში საჩქაროდ ამოძრავდა და ახმაურდა ყველაფერი, გაცხარებული იწყო სურსათმა მზადება, ხომალდების აშენება და შეკეთება და სხვა. 15 მაისს თვით მეფე გაემგზავრა ასტრახანისაკენ და მისვლისათანავე შემდეგის შინაარსის მანიფესტი გამოსცა: „რადგანაც 1712 წლის აქეთია ლეკი დაუდბეგი და ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაიხანი, აჯანყდნენ შაჰის წინააღმდეგ, ქალაქი შემახა მთლად აღაოხრეს და იქ მცხოვრებნი რუსი მოვაჭრენი ამოსწყვიტეს და ოთხის მილიონის საცხოვრებელი გაიტაცესო. შაჰისაგან კი ამ ზარალის ანაზღაურება არ მიგვიღია მათის შეუძლებლობისა და სილარიბისა გამო, ამის გამო ჩვენ თვითონ, ვგრძნობთ რა ფრიად შეურაცხყოფილად რუსეთის იმპერიას, განვიძრახეთ მეამბოხეთა დასჯა, რომელნიც ორივე სამეფოსათვის მაზარალებელნი არიან. ყველა იმ ადგილებში სადაც ჩვენი ჯარები შესდგამენ ფეხს, სპარსეთის ქვეშევრდომნი უზრუნველყოფილნი იქნებიან და მათს საკუთრებას ხელს არავინ შეახლებს. თუ ვინცობაა მეამბოხეთ არ შეუერთდნენ და დახმარება არ აღმოუჩინეს ან სურსათით ან ფულით და თუ ჩვენი რჩევა არ დაიჯერეს და მეამბოხეთ მიემხრნენ, მაშინ მათ სასტიკათ მოვეპყრობით და არავითარს შებრალებას ადგილი არ ექნება. ხელს არავინ შეახლებს ოსმალეთის ქვეშევრდომთაც თანახმად ოსმალეთისა და ჩვენ შორის დადებულის საუკუნო ზავისა და ამის გამო შეუძლიანთ სრულიად უშიშრად იყვნენ და განაგრძონ თავიანთი წყნარი ცხოვრება და ვაჭრობა“.*)

აი ეს არის პეტრე დიდის მანიფესტის შინაარსი. პეტრე დიდი ომს როდი უცხადებს სპარსეთს, პირიქით ეხმარება მეამბოხეთა დასჯაში, ერთის სიტყვით ერთის გასროლით ორს კურდღელს ჰკლავს. ირანს ემხრობა მეამბოხეთა დასჯაში და იმავ დროს კი ჰსურს კასპიის სანაპიროები ხელში ჩაიგდოს, რათა სპარსეთზე უფრო სამეფო—ოსმალეთი არ შეიქნეს მისი ბატონ-პატრონი. ერთი სიტყვით გადაწყვეტილი იყო დიდის ხნის სურვილების შესრულება და თვით ოსმალეთსაც რომ არ სწყენოდა რუსეთის ასეთის ნაბიჯის გადადგმა, თავზედ ხელს უსვამს ოსმალეთის ქვეშევრდომთ და უცხადებს, რომ მათ არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეთო.

შაჰსაც ატყობინებდა პეტრე დიდი, რომ შემახისაკენ გამოვილაშქრე სპარსეთთან საომრად კი არა, არამედ მარტოოდენ მეამბოხეთა დასასჯელად და შესამუსრავადო, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ არც სპარსეთსა და არც რუსეთსაო. თვით შაჰი თუ გაჭირვებულია და შევიწროვებული, პეტრე დიდით დიდის სიამოვნებით გაუწევდის დახმარების ხელს და ჯარების დახმარებით განამტკიცებს აღამაღლებს მის მფლობელობას, თუ სპარსეთი მოისურვებს და სამაგიეროთ რუსეთს დაუსაკუთრებს კასპიის სანაპიროებში მდებარე ადგილ-მამულსო. თუ შაჰი შესაფერს ზომებს არ მიიღებს, მაშინ ოსმალნი დაისაკუთრებენ მთელს სპარსეთს და უპირველეს ყოვლისა კასპიის სანაპიროებს, რაიც სასიამოვნო არ იქნება ჩვენთვისაცო, ამიტომ თუმცა სპარსეთთან შესაფერი სათანადო ხელშეკრულობა არ გვაქვს მაგრამ მაინც ზღვის პირა ადგილებს დავიჭიროთ, რადგანაც რუსეთს არ შეუძლიან ოსმალეთი გაბატონოს მის სანაპიროებზედაო.

ამის შემდეგ 18 ივლისს 1721 წელს ასტრახანიდან აიყარა და დიდძალის ჯარით გაემგზავრა კასპიის სანაპიროებისაკენ, რომლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც რუსეთის საკუთრებას შეადგენდა, ვიდრე თერგის შესართავამდის. აქ რუსეთს ციხე-ქალაქი ჰქონდა აშენებული, რომელიც დიდს საფრთხეს წარმოადგენდა ორივე აღმოსავლეთის სახელმწიფოთათვის სპარსეთ-ოსმალეთისათვის და რომელიც ორივეს ძილს უფრთხობდა.

თერგიდგან, სადაც რუსეთს ციხე-დარბაზი ჰქონდა აშენებული, რუსეთის ლაშქრობა ბრწყინვალე ნადიმობა-მოგზაურობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სალაშქროთ გამგზავრებას. ებარღუს შამხალი და სხვა მხლებელნი მფლობელნი დაღესტნისა დიდის ამბით ეგებებოდნენ რუსეთის მხედრობას, ჰპატიჟობდნენ, ნადიმობას უწყვდნენ და მრავალ ძღვენსა და სურსათსა სთავაზობდნენ ჯარების გამოსაკვებად. ესევე დაუხვდა დარუბანდის მმართველიც. რუსეთის მისვლას ზარბაზნების სროლით შეხვდა ნიშნად პატივისცემისა და დიდი წვეულობა-ზეიმი გაუმართა რუსეთის მხედრობას.

აქ, დარუბანდში, შეისვენა პეტრე დიდმა, განზრახვა ჰქონდა დარუბანდიდგან ბაქოსკენ გამგზავრებულიყო, მდინარე მტკვრისაკენ შემოევლო და იქ სადმე მოხერხებულს ადგილს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქის აშენება, მაგრამ მოულოდნელმა მიზეზებმა იძულებულ ჰყო უკანვე დაბრუნებულიყო. ეს მიზეზები იყო ჯარების საკვები და სამარი სურსათი, რომელიც კასპიის ზღვით იყო წამოღებული ზღვაზედ ამოვარდნილმა ქარიშხალმა უმრავლესობა მათი იმსხვერპლა, დანარჩენი კი დასველდა და თითქმის გამოუსადეგარი გახდა სახმარად. ჯარებისათვის კი სხვა გზით ახალის სურსათის შოვნა შეუძლებელი იყო. თან წამოღებული კი ხმელეთით იმდენი ჰქონდა ჯარსა, რომ ერთს თვეზედ მეტს არ ეყოფოდა. მაგრამ სხვა კიდევ უფრო საპატიო მიზეზიც იყო, რომელსაც უფრო დიდი გავლენა ჰქონდა პეტრეზე, რომ ეს ლაშქრობა არ დაემთავრებინა და ჯერ-ჯერობით ხელი აეღო მასზედ. ეს გახლდათ ის აღრეულობა, რომელიც სენატის წარჩინებულ პირთა შორის მომხდარიყო და რომელიც იმპერიის შინაურ მშვიდობიანობას დარღვევას ემუქრებოდა. ამიტომ პეტრე დიდმა დარუბანდში დასტოვა ორი პოლკი, დანარჩენის ჯარებით აიყარა, ასტრახანისაკენ გაემგზავრა და გალაშქრება შემდეგისათვის გადასდო *).

აი ამითი დამთავრდა პეტრე დიდის ლაშქრობა კავკასიაში. ეს მცირე განმარტება იმიტომ მოვიყვანეთ, რათა დაგვენახვებინა მკითხველისათვის, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პეტრე დიდი კავკასიისკენ გამოლაშქრების დროს. ქართველობა, ვახტანგ მეფე და მათთან ერთად სომხობა სჭირდებოდა თავისს მისწრაფებათა განსახორციელებლად, სჭირდებოდა იმისთვის, რომ ამ შორეულს, ჯერეთ უცნობს, ქვეყანაში ყველა ამათ თვალსაჩინო სამსახურის გაწევა შეეძლოთ მისთვის. პეტრე დიდი უფრო რეალისტური პოლიტიკის მიმდევარი იყო და ქართველები იმდენად უნდოდა, რამდენადაც ისინი მის პოლიტიკის ხელის შემწყობნი გამოდგებოდნენ.

გადავხედოთ ეხლა რა მომჯადოებელს გავლენას იქონიებს პეტრეს გალაშქრება და მისი მოწოდება ქართველთა და სომხეთა შორის, რა იმედებით აღივსება მათი გული და რა საოცნებოდ გაჰხდის მთელ მათს მომავალს მარტო ერთი გაგონება პეტრე დიდის ძლევამოსილის ლაშქრის ჩამოსვლისა კავკასიაში.

საქართველოს იმ ჟამად განაგებდა მეფე ვახტანგ VI სჯულმდებელი, ერთი იმ ბრწყინვალე და განათლებულ მეფეთაგანი, რომელნიც ისე იშვიათი იყვნენ საქართველოს დაცემის ხანაში. ამ იშვიათმა განათლებულმა მეფემ,—თავი დააღწია თუ არა სპარსეთს, სადაც ჯერ კიდევ ახალგაზდობაში იყო გაწვეული და იძულებული იყო მაჰმადიანობა მიეღო, რათა საქართველოს ტახტი არ დაჰკარგოდა, მივიდა თუ არა საქართველოში,—მხნედ შეუდგა დავრდომილი საქართველოს შენებასა და განათლებას. მან პირველმა შემოიღო საქართველოში სტამბა და დაბეჭდა მრავალი, როგორც საეკლესიო, აგრეთვე საერისკაცო წიგნებიც და მთელს საქართველოს მოჰფინა. სპარსეთი იმ ჟამად უძლური იყო, დაცემა-გახრწნილებისაკენ მიექანებოდა, მისი მთლიანობა ხან აქ, ხან იქ გაიზრდებოდა, ამიტომ საქართველოს თავისუფლად შეეძლო აღორძინების კვალს მხნედ დასდგომოდა, რადგანაც ხელის შემშლელიც არავინ ეყოლებოდა. ამას მიეწერება, რომ ვახტანგმა არამც თუ მრავალი წიგნები მოჰფინა საქართველოს, არამედ მთელი კოდექსიც კი შეადგინა რჯულმდებლობისა, რომელიც დიდებულს განძს წარმოადგენს საქართველოსათვის. ამისთანა მშვიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა ვახტანგი და მთელის ძალღონით ცდილობდა სამშობლოს კულტურულად ამაღლება-განსადიდებლად, როცა მისი მყუდროება რუსეთის მოწოდებამ დაარღვია.

როგორც ზემონათქვამიდან ვიცით, პეტრე დიდმა დაავალა ასტრახანის ახალს გუბერნატორს, რომ საქართველოს მეფე ვახტანგი მოემხრო და დახმარება ეთხოვნა სპარსეთისაკენ ლაშქრობის დროს, რისთვისაც მფარველობას ჰპირდებოდნენ. საჭიროაო, სწერდა პეტრე, კავკასიის ხალხთა და მფლობელთა მომხრობა და სპარსეთის წინააღმდეგ ამოძრავება. თანახმად პეტრე დიდის ინსტრუქციისა, ვოლინსკი სათანადო წერილსა სწერს ვახტანგ მეფეს, უზიარებს პეტრე დიდის განზრახვათა, რჩევა-დარიგებას ეკითხება სპარსეთში გალაშქრების შესახებ, სთხოვს აღმოუჩინოს ყოველივე დახმარება, რისთვისაც რუსეთისაგან მრავალს სიკეთეს აღუთქვამს. მეფე ვახტანგმა არ დააყოვნა და საჩქაროდ უპასუხა: ქრისტიანთა დასახმარებლად და მუსულმანთა ასალაგმავად კავკასიიდგან საჭიროა შემდეგი აუცილებელი ზომებიო: საქართველოში, როგორც კავკასიის ცენტრში ხუთი—ექვსი ათასი მხედრობის შემოყვანა, ვითომდა ურჩ და მოუსვენარ მებატონეთა და ერისთავთა მეფის მორჩილებაში მოსაყვანად, ციხეებში ჩაყენება და გამაგრება, შემდეგ ამისა დაღესტანში გადმოსხმა ძლიერის ჯარებისა არა ნაკლებ ათი ათასისა და საჩქაროდ დაჭერა დარუბანდისა და შემახიისა და გარდა ამისი ციხე-ქალაქის აშენება თერგზედ ყაბარდოსა და გრებენთა შორის და ძლიერ მეციხოვნეთა ჩაყენება, რათა უზრუნველ იყვეს ამიერ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მიმოსვლა“. წერილის ბოლოს ვახტანგი დასძენს, სპარსეთი იმდენად სუსტია და გახრწნილიო, რომ ამ ლაშქრობას მეტად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანო. მე თითონ არა ნაკლებ 30—40 ათას მხედრობას გამოვიყვანო და ისპაჰანამდის ჩავალ ჩემს მხედრობითო. სპარსებს მეტისმეტად ეშინიანთ რუსეთის მხედრობისაო, რადგანაც მეტის-მეტად მხდალნი და დიაცთა მზგავსნი არიანო*).

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. Бутков. матер. для новой ист. Кавказа ტ. I.

*) Бутковъ, ტომი I, გვ. 30.

*) Соловьевъ, Исторія Россіи, ტ. IV გვ. 669.

არამედ მთელი ამიერ კავკასიისათვის თბილისს თავისს ძალღონით არ შეუძლიან საქონლის არც ყიდვა და მით უფრო არც მოზიდვა. მაგრამ ქალაქს მთავრობა უპირებს დახმარებას ყოველ მხრივ, მხოლოდ ქალაქმა საქმის ორგანიზაცია უნდა იკისროს. ეს ორგანიზაცია იმაში გამოიხატება, რომ ქალაქმა ფქვილის, შაქრის და სხვა საჭირო სურათის საწყობები უნდა გახსნას თბილისში. ამ საქმისათვის საჭიროა 4.565.000 მანეთი. მთავრობა, თანახმად მიმდინარე წლის 17 აგვისტოს გამოცემულ კანონისა, მზად არის ქალაქს ასესხოს ფული 6 პროცენტის კვალობაზე იმ პირობით, რომ ომის გათავების დღიდან ერთი წლის განმავლობაში ვალი გასტუმრებულ იქმნას. მაგრამ ამოდენა ფულს არ ასესხებს მთავრობა, არამედ მხოლოდ 2.500.000 მანეთს. რათა ეს ფული ქალაქმა დანიშნულ საქმეს მოახმაროს და საზოგადოდ წესიერად ხარჯოს ფული, თვალყური უნდა ადევნოს და კანტროლობა გაუწიოს მიწადმფლობელობისა და მიწადმოქმედების მინისტრის მთავარმა რწმუნებულმა კავკასიაში ბ-ნმა **შაჰკოვსკიმ.** ამ უკანასკნელს სრული უფლება ჰქონია, როცა საჭიროდ დაინახავს, შეაჩეროს ქალაქის თვითმართველობის ოპერაციები (რაღა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მთავრობისაგან ექნება ფული ნასესხები). სამხედრო მიმოსვლათა უფროსთან შემდგარმა თათბირმა, რომელსაც ამიერ კავკასიის ყველა გუბერნიისა, დაწესებულებისა, მეფის ნაცვლის კანცელარიისა და სხ. წარმომადგენელნი დაესწრნენ, ქალაქ თბილისს და თბილისის გუბერნიას არგუნა ყოველ დღიურად სურსათის მოსაზიდად მხოლოდ 31 ვაგონი. ამ რიცხვიდან მარტო თბილისს დასჭირდება 20—21 ვაგონი, ხოლო გუბერნიის სხვა ადგილებისთვის რჩება 10—11 ვაგონი. ეს ვაგონები დანიშნულია ყოველდღიურ პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მოტანილი საქონელი ნაყიდია ქალაქის ანუ სოფლის სახსრით. ხოლო ზემო აღნიშნულ თანხით საკვები უნდა იქნას შეძენილი საწყობებში მოსათავსებლად ყოველ შემთხვევისათვის. საკვებით ისარგებლებენ დაწესებულ ფასებში როგორც თბილისი, აგრეთვე მთელი ამიერ კავკასია. მთავრობა ნასყიდ სურსათის მოსატანად დანიშნავს განსაკუთრებულ ჩქარ მატარებლებს. გზაში თუ რაიმე ბოროტმოქმედება მოხდა, მაგალითად, მთავრობის მიერ დანიშნული ვაგონები განგებ არ დაიტვირთა რომელიმე სადგურში, დატვირთული ვაგონები რომელიმე ადგილას განგებ შეაჩერეს და სხვ., დამნაშავენი დაისჯებიან სამხედრო წესით.

(თუმცა **ბ-ნმა ჯაბარმა** განაცხადა, ჩრდილო კავკასიიდან ჩქარის მატარებლით წამოსული ქალაქისათვის ფქვილით დატვირთული 35 ვაგონი, რომელთაგან, მიუხედავად ზემოაღნიშნულ კანონის არსებობისა, მხოლოდ 22 ვაგონი ჩამოსულა თბილისში, ხოლო 13 ვაგონი სადღაც დაკარგულა).

— ყველა ნასყიდი საქონელი უნდა მოდიოდეს მხოლოდ თბილისის თვითმართველობის სახელობაზე და მომხმარებლები იმისაგან ისყიდიან საჭირო საქონელს. გამგეობას უკვე შეუთვალიერებია და სიაც შეუდგენია იმ შენობებისა, საცა საწყობები უნდა გაიმართოს. პატრონები ნებით თუ არ დასთმობენ თავიანთ შენობებს, რეკვიზიცია მოხდება მათ შესახებ. ხალხის საკვების შესახებ საკითხის ყოველ მხრივ გამოსარკვევად მეფის ნაცვალს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, უნებებია 10 გიორგობისთვეს თათბირი გაიმართოს სასახლეში. ამ თათბირზე, სხვათა შორის, მიწვეული არიან ქალაქის მოურავი და ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული ორი წარმომადგენელი.

ხმ. არ. ს. ბაბოვს ძალიან აკვირვებს მოსაზრება გამგეობისა, რომელიც მხოლოდ 2-ნახევარ მილიონ მანეთის სესხად აღებას აპირობს; მისის აზრით საჭიროა 4 ნახ. მილიონი ისესხოს ქალაქმა. ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია შესდგეს სასურსათო კომიტეტი, რომელიც საქმის გაძღოლას იკისრებს. გამგეობა ათასგვარ საქმით არის დატვირთული და ქალაქის საქმისათვის სრულებით დრო აღარ რჩება, იგი თხოულობს დროებით გადიდდეს გამგეობის შემადგენლობა.

გ. დ. ჟურული ვრცლად შეეხო საქონლის მოზიდვის საკითხს; აღნიშნა, რომ რკინის გზა ეხლაც ვერ ასწრებს საქონლის გადატან-გადმოტანას და შემდეგში შესაძლებელია უფრო ცუდი პირობები შეიქნეს, რის გამო ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება. რუს-ოსმალოს ომის დროს, 1877—78 წლებში, შავი ზღვა, როგორც ეხლა, შეკრული იყო და ამიერ კავკასია რკინის გზით არ ყოფილა შეერთებული რუსეთთან. მაშინ მხოლოდ თბილის-კავკავის გზით გადმოჰყავდა მთავრობას ჯარი, სამარი იარაღი და მთელი სურსათი. ეხლაც შეიძლება ამ გზით სარგებლობა და საქონლის გადმოზიდვა, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამასთანავე ორატორს საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივ კომიტეტების დაარსება, რომელნიც თავიანთ რაიონების შესახებ იზრუნვენ.

ხმ. დოლუხანოვი შესაძლებლად არა სცნობს ეხლავე რაიმე საბოლაო გადაწყვეტილება გამოიტანოს საბჭომ, რადგან გაუგებარია მისთვის მაინც.

ხმ. ბირკევიჩი ეთანხმება დოლუხანოვს, მხოლოდ იმ აზრისაა, რომ სესხის აღების შესახებ ეხლა პრინციპიალური თანხმობა გამოსთქვას საბჭომ.

ხმ. მაზმანოვს წინადადება შემოაქვს, რომ დაუყონებლივ შეუდგნენ სურსათის მოპოვებას. უფულობა არ უნდა აშინებდეს ქალაქის თვითმართველობას. მთავრობისაგან თუ გასაჭირი დარჩება ფულის შოვნა, თბილისის არც ერთი ბანკი არ დაუჭერს თვითმართველობას ფულს სურსათის საყიდლად. თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარემ, ბ-ნმა დ. ლუკაშვილმა, ასი ათასობით თუ კი იშოვა ფული სურსათისათვის, თბილისის ქალაქის თვითმართველობამ როგორ ვერ უნდა იშოვოს იმავე მიზნისათვის.

კამათი დასრულდა. საბჭომ დაადგინა, რომ მთავრობისაგან სესხად იქნას აღებული სამი მილიონი მანეთი მეფის ნაცვლის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიერ გამართულ საგანგებო თათბირზე დასასწრებლად აირჩიეს გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი** და ხმოსანი **ვესელოვზოროვი.**

სოფლის ნამდვილი მოამაგე

ჩვენ ყოველთვის თვალყურს ვადევნებთ მხოლოდ ინტელიგენციის მოქმედებას, ვაფასებთ და ვადიდებთ კიდევაც, თუ კი მართლა მისმა შრომამ და ამაგმა, რაიმე მალამო მოსცხო გაჭირვებულ ქართველის ცხოვრებას. სამაგიეროდ სრულიად არ ვიცნობთ, თანაც არცა ვსცდილობთ გავიცნოთ ის ნამდვილნი სოფლის მოამაგენი, რომელიც დღეს თვით სოფელმა წარმოშვა და თავის ყოველ-დღიურ საჭირბოროტო საქმის წინამძღოლად დააყენა. გლეხის შვილთ, მიყრუებულ სოფელში მცხოვრებთ, უკეთ ესმით და იციან სოფლის მდგომარეობა, მისი გაჭირვება და მოთხოვნილება. გასაოცარი არ არის, რომ ჩვენთვის იგინი არ არსებობენ, აზრად არავის მოსვლია მათ მოქმედებისათვის თვალი გადაევლო და ემცნო საზოგადოებისთვის, თუ რა თავდადებულად და გულწრფელად აგვირგვინებენ ამა თუ იმ სოფლის საქმეს ზოგიერთი მათგანი

მამული ხელიდან მიგვდის და ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაწყალს დღეს უცხოელები ეპატრონებიან. ეს უბედურება ახლა თვითონ სოფელმაც იგრძნო და აკი, ისეთი პირებიც, როგორიც არის მაგალითად სოფ. ანაგაში მცხოვრები ცნობილი ნამდვილი ქართველი ვაჭარი **შაქრო მჭედლიშვილი**, არაფერს აღარ ზოგავენ, რომ გლეხს მიწა ხელიდან არ გამოეცალოს.

სულ ამ მოკლე ხანში, სოფელ ანაგამ შაქრო მჭედლიშვილის მეთაურობით შეიძინა თავ. ჯორჯაძისაგან 300 დეს. საუცხოვო მიწა 87 მ. დეს. თუ რა დიდად დასაფასებელია ეს ადამიანი, იქიდანა სჩანს, რომ მის წინააღმდეგ იბრძოდა მთელი ჯგუფი ინტელიგენტ-დასელების მეთაურობით, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავდა, რომ ამ ადამიანს ეს სოფლისათვის კეთილი საქმე ხელსაყრელად დაეგვირგვინებინა. ენა ვერ იტყვის თურმე, რა არ დასწამეს, რა არ მოუგონეს ბ. შაქრო მჭედლიშვილს, რომ როგორმე ხელი შეეშალნათ მისთვის. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მაინც მას დარჩა და დღეს სოფ. ანაგამ საკუთრებად შეიძინა საუკეთესო სახნავი მიწა და ტყე. ვაშა მჭედლიშვილს! მივესალმებით ასეთ გულწრფელსა და ხალხისათვის თავდადებულ ადამიანს.

დარწმუნებული ვართ, დღეს საქართველოს დაბა-სოფლებში უკვე ბევრი მოიძებნებიან იმგვარი გლეხის შვილები, როგორიც მჭედლიშვილია, და მოვალენიცა ვართ ხმა მივცეთ მას, დავაფასოთ მათი უანგარო მოღვაწეობა. და ჩვენის მათთან გამოხმაურებით მეტი მხნეობა და გაბედულობა გაუღვივოთ გულში საზოგადო ასპარეზზედ მოქმედებისათვის.

ალ. ახ—ლი.

რასა სწერენ?

„სახ. ფურც." ქართული ენის დევნის გამო.

ნუ თუ აქამდე ვერ დარწმუნდით, რომ ამაოა და უნუგეშო ის განგაში, როცა მოვყვებით ხოლმე ჩივილსა და ტირილს ამანა და ამან ქართულ ენას დევნა დაუწყოო და სხვა... ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირკვეს საქმის ვითარება, ამ წუმპე მორევიდან უნდა ამოვიყვანოთ ჩვენი მშობელი დედა ენა. ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოირკვეს ქართული ენის ბედი და ერთხელ და სამუდამოდ მიენიჭოს მას კანონიერი უფლება, რომ წარა-მარა ხელის წამოსაკრავი არ გახდეს. იმდენივე უფლება მაინც მიენიჭოს ქართულს ენას სახაზინო სკოლებში, რამდენიც ჩვენი მეზობლების სომხების ენასა აქვს. და თუ რომ ამითაც ვერას გავხდებით, მაშინ ჩვენს საყვარელს დედას, ჩვენს სიამაყეს სახლიდან გარეთ ნუღა ვაწანწალებთ ქვეყნის სამასხაროდ.

„თან. აზრი." ომი, და „ამერიკა და ევროპა."

ომი იმპერიალისტურია. ომით ხელს ითბობენ გერმანიისა და ინგლისის ბურჟუაზია, ხოლო ამერიკისათვის ხელსაყრელი გამოდგა ნეიტრალიტეტი. ამიტომაც ზავი მისი დამღუპველია. მხოლოდ გულუბრყვილონი ელიან პრეზიდენტ ვილსონისაგან ზავის ჩამოგდების ხელის შეწყობას. ამერიკის ბურჟუაზიის აღმასრულებელი ორგანო ხანგრძლივ ომს უნდა თანაუგრძნობდეს. ამერიკა დიდძალ თანხას იძენს მოკავშირეთა სამხედრო „ზაკაზებისაგან". მარა კიდევ მეტ მოგებას უქადის გერმანიასთან აღებ-მიცემობა. უკანასკნელი გარეშე ქვეყანას მოწყვეტილია. მას მრავალი საქონელი ესაჭიროება და უპირველესათ ბამბა და სპილენძი, რითაც ასე მდიდარია შეერთებული შტატები. ცხადია, გერმანიასთან აღებ-მიცემობა ამერიკის მილიარდერებს დიდძალ მოგებას უქადის და აი ისინიც ინგლისის ბლოკადის გარღვევას ლამობენ და ვაჭრობის თავისუფლებას ესარჩლებიან. აი რა ამოძრავებს პრეზიდენტ-ვილსონს, აი სარჩული მისი პოლიტიკისა. ნეიტრალური ქვეყნების დაცვა ეს ლამაზი ფრაზაა ფრიად სარფიანი საქმის დასაფარავად. ამერიკამ გერმანია დაამარცხა. ინგლისის წყალქვეშა ნავებით ბლოკადა ტაქტიურათ გაუქმებულათ უნდა ჩავთვალოთ. უეჭველია ასეთივე დამარცხება მოელის ინგლისსაც. ევროპის კულტურა დაცემის ხანას განიცდის. სისხლ-დაცლილი ევროპა დასავლეთ მატერიკის წინაშე წამოიჩოქებს. ეს ასე მოხდება, ვინაიდან ზავი შორსაა.

„ზაქ. რეჩ." სურსათის ნაკლულოვანობისა და გამოქცეულების შესახებ.

... სურსათის ნაკლულოვანება გამოწვეულია აგრეთვე გამოქცეულთა ტალღის მიერ. როგორც ყოველგან, აქაც საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა გავწმინდოთ მათთაგან, როგორც ყოველი ზომა სიმშილობის თავიდან ასაცილებლად პოლიატიურ ზომებად დარჩება. მაშასადამე, კრიზისის გადასატანად საჭიროდ მიგვაჩნია 1) შეჩერება გამოქცეულთა ტალღებისა, სულ ერთია, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, პოლონეთიდან, ოსმალეთიდან თუ სპარსეთიდან. ეს ტალღები უნდა გატრიალებულ იქმნეს რუსეთის ისეთ კუთხეებში, რომელნიც პურის რაიონებად ითვლებიან. მით უმეტეს, ბევრია ისეთი ადგილი, საიდანაც პური ვერ გაუტანიათ და ტყუილ უბრალოდ ლპება კიდეც. 2) ის გამოქცეულნი, ვინც უკვე მოასწრეს ჩამოსვლა და ნახევარ მშიერნი ხელ გამოწვდით შეჰყურებენ ხან სახელმწიფო დახმარებას ხან საზოგადოებრივ გულ-უხვობას, ადგილობრივ მცხოვრებთა სახელით უნდა აყრილ იქმნენ და ამიერკავკასიიდან განაწილებულ იქმნენ საპურე რაიონებში. ამას მოითხოვს როგორც საზოგადოებრივი ინტერესები, ისე სახელმწიფოებრივი, მით უმეტეს, რომ ამიერ-კავკასია ომის თეატრის სფეროშია და ყოველი გამოქცეული, განურჩევლად ეროვნებისა, მეტად უხერხულს და არა სასურველ ელემენტს შეადგენს როგორც სამარ მოქმედებისათვის, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების შესანახად. 3) ასევე უნდა გადატანილ იქმნეს ლაზარეთები და საავადმყოფოები ჩრდილო-კავკასიაში, ანუ უფრო შესაფერს ადგილებში, ვიდრე დღეს არის.

სანოვაგის საკითხი

ცნობილი ბელადი გერმანეთის ცენტრის პარტიისა, ბ-ნი ბახემი გრძლად ეხება სანოვაგის სიძვირის საკითხს. მშვიდობიან დროისა და ომის დროის ფასების შედარებიდან ირკვევა, რომ სანოვაგის გაძვირებაში უმთავრესად სოფლის მეურნეებს მიუძღვის ბრალი. 1914 წლის ივნისში, სოფლის მწარმოებელი მეურნე ღებულობდა 43,5 მარკას (მარკა 47 კაპ.) სამ ფუთ ღორის ხორცში, ნარდად გამყიდველი—10,5 მარკას, წვრილ-წვრილად გამყიდველი ყასაბი—24 მარკას. ასე რომ 78 მარკიდან, რასაც მომხმარებელი იხდიდა, 56 პროცენტი რჩებოდა მესაკუთრე მეურნეს, 14 პროცენტი—ნარდად გამყიდველს, ყასაბს—30 პროცენტი. 1915 წლის აგვისტოში სამი ფუთი ღორის ხორცი ფასობდა 167 მარკა. აქედან მწარმოებელ მეურნეს რჩებოდა—135,5 მარკა ანუ 81 პროცენტი, ნარდათ გამყიდველს 25,1 მარკა ანუ 15 პროცენტი, და ყასაბს—6,4 მარკა ანუ 4 პროცენტი. ესევე ხდება წვრილფეხა საქონლის შესახებაც. ეს გარემოება უკმაყოფილებას ბადებს გერმანეთის ხალხში „სოფლის მეურნეობისადმი" და იგი მოითხოვს მთავრობისაგან რომ მან დაბალ ფასებში იძულებით ჩამოართვას საქონელი. სოფლის მეურნემ გადასცეს წესიერ გასანაწილებლად ადგილობრივ თვითმართველობებს. რაც შეეხება ბინას, ფეხსაცმელს, ტანისამოსს და სხვა ამგვარ საგნებს, ფასის აწევა არც კი დასტყობია, მთავრობისგან იმ თავითვე მიღებულ ზომების წყალობით. გერმანეთის ხალხი ორგანიზაციულად კარგად არის მოწყობილი. განსაკუთრებით დაცულია მომხმარებელთა ინტერესები; და იგი არ მოითმენს რომ ასეთ დროში თავი სოფლის მესაკუთრეს გააყვლეფინოს. ბახემი ურჩევს მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სოფლის საქონლის გაძვირების წინააღმდეგ.

უწესოება რკინის გზებზე,

რკინის გზებზე მიმოსვლა მეტად გაძნელდა.

ყოველ სადგურზე ზღვა ხალხი სდგას, და მათ შორის უმეტეს შემთხვევაში ნახევარი ვერ ახერხებს მატარებელში ადგილის შოვნას.

პირველი მოვლენა, რომ განზე გადავსდოთ, რჩება მეორე უფრო ცუდი „მოვლენა-ჩვეულება" რკინის გზის მოხელე-კონდუქტორებისა.

ისედაც შევიწროებულ მგზავრს მატარებელში მეტად უზრდელ-უდიერად ეპყრობიან, მგოლოდ, თუ ვინმე მდაბიო ნახეს ვაი იმის ბრალი, ფეხ ქვეშ ჩაიგდებენ და ტყავის გაძრობას დაუპირებენ.

სადგურ გომთან გლეხი წიფელაშვილი გაქანებულ მატარებლიდან უნდა გადაეგდოთ იმის გამო, რომ იგი შეცდომით მეორე კლასის ვაგონში შევიდა. ერთ ბებერ დედაკაცს, რომელსაც გზად ბილეთი დაეკარგოდა, კონდუქტორებმა 2 მან. და 50 კაპ. მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აგინებდნენ უფროსთან წარდგენით, რომელიც სასტიკად დაგსჯისო ისე კიდევ რავდენ უწესობას სჩადიან ენა და პირი ვერ მოსთვლის, ხსენებულ კონდუქტორ-მოხელისაგან ადამიანი ხეირიან პატიოსნურ პასუხს ვერ გაიგონებს. სამწუხაროა რომ რკინის გზის სამმართველო ჯერ-ჯერობით არავითარ ყურადღებას არ აქცევს რკინის გზაზე წესრიგის აღდგენას და თავგასულ მოხელეთა დასჯას.

იმერთაგანი.

ოსმალთა გასამართლება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დაიწყო გასამართლება ოსმალების ყარსის ოლქში, რომელთაც ბრალდებათ სახელმწიფო ღალატი სწორედ იმ სახით, როგორც ჩვენ მოძმე აჭარელთა და მიცემულნი არიან სამართალში 108 მუხ. ძ. არ ვიცი როგორი მსვლელობა ექნება სამართლიანობას რადგან გარემოება ხელს არ მიწყობს დავესწრო გასამართლების პროცესს. მაგრამ საქმის ვითარება ვიცი, რაც მინდა გაუზიარო ჩვენ მკითხველს. ბრალდების ოქმში ნათქვამია:

„როდესაც ოსმალთა ჯარი შემოიჭრა რუსეთის საზღვრებში და დროებით ხელთ იგდო არტაანი და მისი მიდამოები, გათამამებული რუსეთის ქვეშევრდომნი ოსმალნი (გვარებია აღნიშნული) შეიარაღებულნი მათთან ერთად ებრძოდნენ რუსის მხედრობას და არბევდნენ რუსეთის მომხრე სოფლებს. (რა თქმა უნდა სხვა და სხვა ადგილებში.) ასეთი დანაშაულობის ჩადენა კი ნიშნავს „სახელმწიფო ღალატს" რისთვისაც მიცემულნი არიან სისხლის სამართალში და დაისჯებიან 108 მუხ. ძ.," ასეთია მოკლედ შინაარსი ბრალდების ოქმისა, რომელიც აღმოუჩენია წინასწარ გამოძიებას.

„საქართველოს" ფურცელზე მოკლედ მქონდა აღნიშნული დამოკიდებულება ოსმალ-სომეხ-ბერძენთა. ომის დაწყებამდის ეს ეროვნებანი სომეხ-ბერძნები-ოსმალებთან ფარულ შუღლს ატარებდნენ, მაგრამ გავარდა პირველი ზარბაზანი ოსმალთა საზღვარზედ და მშვიდობიანობის დარღვევასთან ერთად ამ შუღლმა თავი ამოჰყო. ოსმალთ როგორც მაჰმადიანებს უნდობლად შეხედა მთავრობამ თუმცა არაფერს აშავებდნენ, ზოგიერთ ბერძენთა სოფლებს იარაღიც აღმოაჩნდა. დაიწყეს თარეში და პირადმა შუღლმა და მასთან ერთად ეროვნულმა ამოჰყო თავი მთელი სიმდიდრე რაც გააჩნდათ ოსმალებს სულ ძალმომრეობით იქმნა გადატანილი სხვის საკუთრებად. იყო შემთხვევებიც, რომ აბეზღებდნენ მდიდარ ოსმალოებს, მერე ფულსა სცინცლავდნენ და ისე უშვებდნენ.

ვანო ხ—შვილი.

ნობათები

ოთარ-ბეგი

და მისი უკანასკნელი სიტყვა

(მოგონება)

ამ რამდენიმე წლის წინედ აწ განადგურებული ქართული თეატრის სცენაზე ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ინიციატივით ასამართლებდნენ თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატის" ორს უმთავრესს გმირს—დედოფალს ზეინაბს და ოთარ ბეგს. თეატრის დარბაზში გაჭედილი იყო ქართველი ინტელიგენციის ორივე სქესით. დარბაზში რაღაც არა ჩვეულებრივი საზეიმო ელფერი ტრიალებდა. სცენაზე შნოიანის გემოვნებით გამართული იყო სასამართლო ბრალმდებელები, ნაფიც მსაჯულთა კრებული და დამცველები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევდა ახლად გამოსული გრ. რობაქიძე.

შემთხვევით კულისებში მოვხდი. წერა კითხვის საზოგ. გამგეობის თავმჯდომარე მხცოვანი გიორგი ნიკოლოზის-ძე ყაზბეგი ყველა მოწვეულ მონაწილეთ ჩვეულებრივის თავაზიანობით უმასპინძლდებოდა იქვე პატარა ოთახში გამართულ სუფრაზე: იყო ჩაი, ცივი საუზმე და სასმელებიც—კონიაკი და ღვინო. უეცრივ ოთახში შემოვიდა ახოვანი მხარბეჭიანი დიდ ულვაშებიანი კაცი ქართულ კაბა ახალუხში გამოწყობილი, შევხედე—ვალერიან გუნია ოთარ-ბეგად გამზადებული.

— აჰა, ოთარ-ბეგიც მობრძანდა!.. მობრძანდით დიდო თავადო, მობრძანდით! მიეგება ოთარბეგ-გუნიას გ. ნ. ყაზბეგი; რას მიირთმევთ?

— ყველაფერს და უწინარეს ყოვლისა ღვინოს ყანწით! უპასუხა ოთარმა.

— ყანწზე უკაცრაოდ გახლავართ და ღვინო კი რამდენიც გენებოთო! ღიმილით მიუგო გ. ნ. ყაზბეგმა.

— რა გაეწყობა! თუმცა მე ჩვეული ვარ ყანწებს, მაგრამ... на нѣтъ и суда нѣтъ-ო ჩაურუსულა ჩვეულებრივ ოთარ-ბეგმა და კონიაკისაკენ გააშურა ხელი, მაგრამ მასპინძელმა დაასწრო და კონიაკით აუვსო კარგა მოზრდილი ჭიქა და თან ცნობის მოყვარეობით შეეკითა:

— უეჭველია, სიტყვა დაწერილი გექნებათ?

— რა სიტყვა!? ძალზე გაიკვირვა გუნია—ოთარბეგმა.

— როგორ თუ რა სიტყვა? თქვენი უკანასკნელი სიტყვა! დღეს ხომ თქვენ გასამართლებენ და დავიჯერო, რომ უკანასკნელ სიტყვას არ იტყვით!

— ვაი შენ, ჩემო თავო! წაიშინა დიდ ღია შუბლში ხელი ოთარბეგმა, ამაზე კი სრულებით არ მიფიქრია, მაშ ჯერ წავალ და დავწერ. მერე თუ თქვენი ნებაც იქნება, შევექცევი ღვინოსო! და გასწია კარებისაკენ.

— ვალიკო, თამადობაში განთქმული ხარ და რაღა დაწერა გინდა სიტყვისაო? სიცილით მიაძახა ვილაცამა.

— არა, შეუძლებელია; სცენაზე უსათუოდ გაზეპირებული უნდა ვსთქვა. ცხოვრებასა და სცენის შორის дистанція огромнаго размѣра, წაირუსულა ოთარმა და გავიდა ოთახიდან.

მერე კულისებში არ შევსულვარ და არ ვიცი „როგორის ტემპით **შეექცეოდა**" ოთარბეგი ღვინოს, ხოლო როცა ოთარბეგის ჯერი დადგა და მას უკანასკნელი სიტყა მიანიჭეს, ოთარბეგი-გუნია ძლივსღა წამოდგა ბარბაცით და გააჭყიტა თვალები:

— ჩე-მი უუუკანასკნელიიი... სიტყვაა?? მოგახსენებთ ბ-ნნებო, მსაჯულნო, ბრალმდებელნო და... ოთარბეგმა რაღაცას ძებნა დაუწყო ჯიბეებში... თურმე სიტყვას ჯიბეში ეძებდა. ძლივს-ძლივობით იპოვა ჩექმის ყელში რაღაც ქაღალდი და შეუდგა კითხვას [illegible] კიდევ... დარბაზში ასტყდა სიცილი—ყველა გრძნობდა, რომ ოთარბეგი მთვრალი იყო...

გათავდა გასამართლებაც. ნაფიც მოსამართლეთა უმრავლესობამ ზეინაბი და ოთარბეგი გაამტყუნეს. განაჩენმა ბევრი ააღელვა; განსაკუთრებით მე ვიყავ უკმაყოფილო და გულის წყრომის გამოსაცხადებლად გავეშურე კულისებში.

ოთარბეგს გარსშემოხვეოდა ბევრი დამსწრეთაგანი და ერთი უშველებელი სიცილ-ხარხარი გაისმოდა.

— თქვე დალოცვილებო, აკი გიმტკიცებდით, რომ სცენა სულ სხვაა და სინამდვილე სულ სხვაა-მეთქი. ოხუნჯობდა ოთარბეგი—გუნია, რაც ცხოვრებასა და სინამდვილეში ლამაზია, იგი სცენაზე ტლანქი და შეუწყნარებელია... როგორც გუნიას მე ბრალი სრულებით არ მედება, ხოლო როგორც ოთარ-ბეგი მართალი ვარ: აბა მოიგონეთ პიესის ტექსტი: „მხოლოდ იმას ვევედრებოდი, რომ ნება მოეცათ ღვინის სმისა"... „რითი მოგაქვს თავი! იმით რომ ლოთი და გარყვნილი... კარგი სანახავი კია დარაჯი ისლამისა ღვინით გამომთვრალი"... და სხვა და სხვა... ჰო და სწორედ ოთარ-ბეგი გამომთვრალი უნდა ყოფილიყო... ესეც არ იყოს რად მასმევდით? თუ თქვენ კარგი მასპინძლობა გამოიჩინეთ, მეც კარგი „მოლხენა" გამოვიჩინე... ერთი ანომალია კიდევ: თქვენ ყველანი თანამედროვე ტანსაცმელში ბრძანდებოდით და მე კი ისტორიულში გამომჭიმეთ და ზედმეტი გრიმიც გამაკეთებინეთ... ეგეთი დისონანსის გასაქარწყლებლად დიახაც ღვინო იყო უებარი საშუალება... ეგ ყველა კარგი მაგრამ ჩემი უკანასკნელი სიტყვა ტყუილ-უბრალოდ დაიკარგაო, ოხვრით დაასრულა ოთარ-ბეგ—გუნიამ.

— მომეცით და მე გაზეთში მოვათავსებ-მეთქი, მივმართე მე.

— ინებეთ და ჰონორარიც თქვენი იყოსო, მითხრა ოთარ-ბეგმა და გადმომცა ფანქარით დაწერილი თაბახი.

უეჭველია, ბ-ნი ვ. გუნია არ მიწყენს ამ მოგონებისათვის და ჩემს დაპირებას თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ვასრულებ. მომყავს თვით ოთარბეგის უკანასკნელი სიტყვაც:

„ბ-ნნო მსაჯულნო და ნაფიცნო მოსამართლენო! მე აქ მოვისმინე ბ-ონ ბრალმდებელთა მკაცრი და დამსახურებული ქელვა-კიცხვა ჩემის დიახაც არა შესაწყნარებელის საქციელისა.

რაღა ვსთქვა ჩემს გასამართლებლად, ჩემს დასაცველად! „შეუძლებელია შენდობა განდგომილისა, პატიება მოღალატისა" და ამიტომაც თქვენა გთხოვთ შეწყალებას. გაღვიძებული სინიდისი სირცხვილის ალში მახვევს და ვიწვი მწარე სინანულითა!

ბ-ნნო მსაჯულნო, გმადლობთ რომ უკანასკნელი სიტყვა მიბოძეთ და მით საშუალება მომეცით—საჯაროდ ვაღიარო ჩემი მძიმე დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე. დამსაჯეთ, ბატონებო, რადგან ღირსი ვარ სასჯელისა, მაგრამ მე მაინც ჩემის უკანასკნელის სიტყვით ვისარგებლებ და მოგახსენებთ: თუ შეუძლებელია ჩემი შენდობა და პატიება, იქნება შესაძლოდ სცნოთ ჩემი შებრალება და შეცოდება!

მეტად ცუდ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი: „ირგვლივ ძალმომრეობა, განუსაზღვრელი მონობა, მონობა ვით შავბნელი ღამე" და სულის შემხუთველი წყვდიადი მეფობდა „შავი ზღვიდან გურგანის ზღვამდე".

საუკეთესო წარმომადგენელნი ერისანი უკან იხეოდნენ, მორჩილებას აცხადებდნენ და „ფერხთა მტვერობას" რჩეობდნენ. თვით ჩემი სალოცავი და ერთგულების ხატად მიჩნეული სპეტაკი და მტკიცე თამარ დედოფალი შედრკა და პირი იბრუნა... ფიანდაზად გაეშალა ფერხთ ქვეშ მტრის ძალას და გულში ჩაეხუტა ჩვენს სისხლის მსმელს...

ყველა—დიდი პატარა, ქალი და კაცი, ერი და ბერი, ზოგიერთი რჩეულთა გარდა. ძირს დაეცხო და მონობის უღელში გაჰყო თავი!

თქვენც კარგად უწყით, თუ როგორ ვებრძოდი პირველ ხანებში ჩვენის ქვეყნის მტარვალებს; მოგეხსენებათ თუ რაოდენი ზიანი და ვნება მივაყენე ჩვენს მოსისხლე მრისხანე ძალას, მაგრამ... ბოლოს მეც გამიტყდა გული, მეც მძლია სასოწარკვეთილების ისარმა და ქედ მოხრილი განვერთხე მძლავრი ისლამის წინაშე... რა ვქნა—ვერ გავძელ და უწინარესს ყოვლისა შევცოდე ჩემს საკუთარ ღირსებას, ჩემს კაცურ კაცობას, ჩემს ბრწყინვალე წარსულს და მერე ჩემს ერს და ქვეყანას!..

ვერსად ვხედავდი ჩემს გარშემო ადამიანს—ხასიათის სიმტკიცეს, სიტყვის პატრონს, საქმისა და შეძლების

კაცს... ყველა ლაყბობდა, ყველა ყეყეჩობდა, მეტიჩრობდა და ნაცარქექიობდა... სიცილ-ხარხარი ცეკვა-თამაში, სმა-ქეიფი, შენ-ჩემობა, დაქსაქსვა-დაქუცმაცება და საერთო დაკნინება... აი ის სურათი, რომელსაც ყოველდღე ვხედავდი და ჩემდა უნებლიედ ვგრძნობდი... ამით ათ გზით დაობლებული და დაძაბუნებული თავდავიწყებით დავეწაფე პირადი დღეგრძელობის ტალღას, რომელმაც ოცი წლის განმავლობაში გააბრუა და გააყუჩა ჩემში ყოველივე წინანდელი... გამოგიტყდებით, ზოგჯერ იდუმალ გრძნობათა გასაქარწყლებლად ღვინოს ვატანდი ძალას, ვთვრებოდი, ვლოთობდი, ვავლახობდი... მაგრამ სრულებით კი არ გავთახსირებულვარ, არც სამუდამოდ გავხრწნილვარ!..

ჩემი ბედშავი და დაფერფლილ სულისა და გულის სიღრმეში კიდევ ოდნავ ბჟუტავდა ეროვნული გრძნობის ნაპერწკალი... და საკმარისი იყო სრულებით მცირე იმედი, შორს მოლანდებული თავისუფლება, მოსიზმრებული განთავისუფლება, რომ მე ისევ აღვმდგარიყავი მკვდრეთით და აკი აღვსდეგინ კიდეცა!..

რა თქმა უნდა ჩემს ოცი წლის სიდუხჭირეს და სივერანეს ვერ გააქარწყლებს და ვერ გაამართლებს ჩემი უკანასკნელი ვაჟკაცობა, ჩემი გამობრუნება და... ნურც გამამართლებთ!

ჩემთან ერთად სხვანი მრავალნი ჩემისთანანი მოურიდებლად გააკარით სამარცხვინო ბოძზედ, რათა საქმენი და სახელნი ჩვენნი წყევლა-კრულვით იხსენიებოდეს საშვილიშვილოდ და სამარადისოდ!..

ნუ გგონიათ, ბ-ნნო მსაჯულნო და მოსამართლენო, რომ მე და ჩემისთანანი ცოტანი ვიყვნეთ ბედშავ საქართველოში! მთელი ერი მოწამლულ-მოშხამულია ჩემისთანა ორგულების სენით! ყველანი ამ ჭირით ვართ დაავადებულნი, თორემ განა შესაძლებელია თავისუფლებისა და თვით არსებობის მონატრულმა ერმა ითმინოს სამარცხვინო გამათახსირებელი მონობა არა თუ ოცს წლიწადს, არამედ ოცს დღესაც კი?!!..

აი, ბატონებო, ამაზე იფიქრეთ, ამას დაუკვირდით, ამაზე იდარდეთ და ივალალეთ, რადგან შეუძლებელია თავისუფლებაზე ფიქრი და ოცნება იქ, სადაც ამ თავისუფლებას მედგარი და შეუპოვარი მოტრფიალე დარაჯი და ჭირისუფალი არა ჰყავს!

ნუ მისცემთ ნებას, რომ განდგომილნი და მოღალატენი ლაღად დათარეშობდნენ და პირადი დღეგრძელობის წუმპესა და ტბორეში დაფუსფუსებდნენ... ოთარბეგობა ეგ ეროვნული სენი; მას ბეჯითი მკურნალობა უნდა. პირველი მალამო მისი გამოაშკარავება და საქვეყნოდ გამომზეურება, ხოლო მე კი დამსაჯეთ, რადგან ღირსი ვარ სასჯელისა და თქვენის მართებულის გულის წყრომისა!..

ქიზიყელი.

სოფლად

ვინ უწყის, ან ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება დასტრიალებს დღეს ქართველ ერს და განსაკუთრებით კი სოფლელებს. ვინ არის მათი შემბრალე, მათი ტანჯვების გამზიარებელი? ვინ არის მათი გამომხსნელი ომის და ულმობელი სიმშილის კლანჭებიდან, რომლებიც, ვითა შავი ყორნები, ისე დასჩხავიან თავს, ისედაც გაძვალტყავებულ სოფლელ გლეხებს. მაგრამ არა, ეს ტანჯვები მათ არ აკმარეს. მათ დუხჭირ ცხოვრებას ასეთი ტანჯვები არ აკმარეს და ამ ტანჯვებთან ერთად მოუვლინეს მათ კიდევ უფრო თავზარდამცემი ტანჯვა, რომლის შიში, ვითა ჭვალი, სჯიჯგნის მთელ სოფლელებს. ეს ტანჯვა არის ყაჩაღების სოფლად შეუბრალებელი თავ-გასულობა, რომლებიც თავზარ-დამცემი რისხვით ეცემიან, რომელიმე სოფლის გლეხს, რომელსაც მჭადის ან პურის საყიდლად უშოვნია ორიოდე გროში. ართმევენ ამ ფულს, სცემენ და კიდევ ემუქრებიან „თუ ამ ცოტა ხანში ამდენი და ამდენი ფული არ მოგიტანია დანიშნულ ალაგზეო, მოვალთ და სიცოცხლეს გამოგასალმებთო“. აი როგორი მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს სოფლელები! რა ჰქნან? ვის უნდა მიმართონ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სოფლელებმა, ვის უნდა გაუზიარონ თავიანთ ტანჯვები, რომ ცოტა მაინც შეუმსუბუქდეს მათ ასეთი საშინელი ცხოვრების ეკლის ჩხვლეტა. ან კი ვინ მიაქცევს მათ სოფლად ყურადღებას, როდესაც ყველას თავთავის ჭირი და ვარამი სტანჯავს, როდესაც ყველა ერთნაირ ცხოვრების ფარგალში იმყოფებიან.

ვინ არის მათი გამომხსნელი ყველა ამ ტანჯვებიდან და განსაკუთრებით ყაჩაღების კლანჭებიდან, ვინ არის ყაჩაღების ამლაგმავი, რომ მათგან ასეთ ცარცვა-გლეჯას ბოლო მოეღოს და მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ტანჯვები სოფელში მცხოვრებლებს?

დროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ასეთ სოფლელების გარემოებას, ვისგანაც ჯერ-არს.

შალვა რუფოთელი.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

21 ამ თვეს ქუთაისში დანიშნულია იქაურ წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა შეერთებული თათბირი. კრებაზე იმსჯელებენ შესახებ იმისა, თუ საიდან გამოიწერონ შაბიამან-გოგირდი იმერ-საქართველოს საჭიროებისათვის. ითათბირებენ აგრეთვე შიმშილობასა და სიძვირეზე.

— კვირას 1 ნოემბერს „ბალკანეთის მდგომარეობა“-ზე ლექცია წაიკითხა ცნობილმა ნ. ვოდოვოზოვმა.

— მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა: მომავალი ჩვეულებრივი საბანკო განცხადებები დაბეჭდოს „სამშობლოსა“ და „მეგობარში“.

სოფ. მარტვილი (სამეგრელო).

ომის დაწყების შემდეგ ეს სოფელი უექიმოდ დარჩა, სოფელში აუარებელი ავადმყოფია, რომელნიც მოკლებულნი არიან ადგილობრივად როგორც ექიმს ისე წამალსაც.

ბაქო.

ბაქოს მაჰმადიანთა საზოგადოებამ დაადგინა: გამოსცეს გაზეთი ბაქოელ მაჰმადიან ქალთათვის.

გორში.

გამოქცეულები (სომხობა) გორშიც ბლომად მოდიან. სახლის პატრონებმა დიდად აუწიეს ბინების ფასს.

— ჩარჩები გლეხობას საშუალებას არ აძლევენ თავიანთი საქონელი პირდაპირ ქ. გორში შემოიტანონ სოფლებიდან მომავალს გზად ხვდებიან და ნახევარ ფასში სტაცებენ.

— ქართლის გლეხები იუწყებიან, რომ სოფლებში ასეთ უკიდურესობის დროს დიდის სისასტიკით გვახდევინებენ გადასახადებსო:

— ქართ. საქველმოქმედო საზ. გორის განყოფილება აპირებს ამ მოკლე ხანში მოიწვიოს ყრილობა, ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ სოფლების წარმომადგენლებიც.

— გორში ხილეულობას ფასი მოემატა, ამ ჟამად აქ ბევრი ხილის მყიდველია ჩამოსული.

— ის. კერესელიძემ ამას წინად აჭარელთათვის რამდენიმე ცალი წიგნი გაჰგზავნა, მაგრამ სამწუხაროდ წიგნები უკანვე დააბრუნეს, რადგან ფოსტა არ მუშაობსო.

მეჯვრისხევი.

ამ ახლო მომავალში გორის ქალთა ამხანაგობა „მანდილოსანი“ გახსნის სახელოსნო სკოლას.

სურამი.

სურამელმა ქართველმა ქალებმა იშუამდგომლეს გორის „მანდილოსნის“ წინაშე განყოფილების გახსნა.

ყარსი.

ხურდა ფულის დიდი ნაკლულევანებაა, სავაჭროები მანეთიან ქაღალდის ფულს აღარ ახურდავებენ, მდაბიო ხალხს მეტად გაუძნელდა ცხოვრება.

პროვინცია

ს. ურბნისი (ქართლი). მოუსავლობამ წელს ჩვენს სოფელსაც ავნო, აქაც „გერმანელების წამალმა*) გაახმო ვენახი, ქერი, პური. მხოლოდ ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენებურების სიმინდის მოსავალს ასცდა „წამალი“, ჭადი დალოცვილიაო, ღმერთი ჰფარავს და ამიტომ არ მიიკარა წყეული საწამლავიო, ასე რომ ნაკურთხი სიმინდი ურბნელებს საკმაო მოუვიდათ და როგორც იქნება მეორე მოსავლამდე გააჩანჩალებენ დროს.

ის იყო ჯინების დახურვა ვერ მოასწრეს, რომ ჩვენს სოფელში აფუსფუსდნენ ჩარჩები. გლეხებს ფუტკარივით გარს ეხვევიან და აღარ იციან რანაირი ხერხი იხმარონ, რომ სიმინდი ოხერ ფასებში ჩაიგდონ ხელში სინდისზე ხელ აღებულები არაფერს ერიდებიან, ოღონდ როგორმე ჭირნახული დასტყუონ საწყალ გლეხებს. ათას ჭორებს ავრცელებენ, აშინებენ ისედაც დაფთხალს ხალხს. თათრები მოვლენ, ყველას დაგვხოცვენ, ვაი იმას, ვისაც ფული არ ექნება გასაქცევად, რომ თავი მიაფაროს და სიკვდილს გადარჩესო. აშკარაა ჩარჩის მუცლის ტკივილი; სიმინდი მე მომეცი, აი ფული, მხოლოდ იაფად მომეცი, მადლსა ვჩადი ფულს გაძლევ; მე კი სიმინდი რა ჯანაბად მინდა, ოხრად დამრჩებაო... რა ჰქნას საწყალმა გლეხმა, განა არ იცის, კარგად იცის, რომ ატყუებენ, მაგრამ მაინც ჩარჩის დაგებულს მახეში ჰყოფს თავს... მაინც რაც შეუძლიანთ აქეთ იქით ეხლებიან, გამვლელს და გამომვლელს ეკითხებიან ომის ამბებს, მომავალს და ათას რამეს. ამას წინად ერთმა გლეხმა მკითხა, —მართლა თათრები ქალაქს ქვემოდ რვა ვერსზედ მოსულანო? გამეცინა, ვუთხარი ტყუილია, ვინ გითხრა მეთქი ვაჭარმა, სიმინდებს რომ იკვეთს, იმან მითხრაო.

ვერა და ვერ ამოიკვეთა ჩვენში ბოროტ-მოქმედებანი. ბოროტ-მოქმედებას აქ წახდენის, მტრობის ხასიათი აქვს. მაგალითად ქურდობა არ იციან, მაგრამ ცეცხლს წაუკიდებენ, ან საბძელს, ან ბოსელს; ნამყენს ხომ ვერ გაიჩენ, ქერქს გააფცქვნიან, გაჩეხამენ. ეს ისეთი საზიზღარი, ან როგორც თითონ გლეხები იტყვიან ხოლმე ისეთი სინდისზედ ხელის აღებაა, რომ კაცი ჭკუიდან შეიშლება. კაცო, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით, შიმშილისაგან და სიტიტვლისაგან ვიხოცებით, ეს რაღა ღვთის რისხვაა, ჩვენი რომ ერთმანეთს ვახდენთ, დაიწყებენ ზოგიერთნი, მაგრამ ყურს არავინ უგდებს და ბოროტ-მომქმედნი განაგრძობენ თავიანთ ცოდვილ საქმეს.

იქნებ იფიქროთ ვითომც სინდისი შელახოდეთ ჩვენს გლეხებს, სინდისის ქეჯნა გულს აღარ უკლავდეს, აღარა სწამდეს! ღმერთმა გვაშოროს. მაგრამ ვინაა სოფლის პატრონი? ვინაა გულის შემატკივარი დაბეჩავებულის მაშვრალის გლეხისა? ისევ მათრახები, ისევ „ტრაფები“, ისევ ბატონები სოფლის გზირიდან მოყოლებული. ყველანი ესენი სოფლის საკეთილდღეოდ არიან გაჩენილნი, თითქოს „შეუგნებელ“ გლეხებს ჰპატრონობენ და აკი ჰპატრონობენ კიდეც.

ურბნელი გახო.

— —

ს. ბეკამი. (გორის მაზრა). ჩვენი სოფლის გულისყური და ფიქრი მიქცეულია წყლის გამოყვანაზედ. თავის იშვიათ ჰაერით და საუცხოვო ლამაზ მდებარეობით ეს სოფელი ბევრს გაუწევს მეტოქეობას. ამ მხრივ დიდი მომავალიცა აქვს მას, მხოლოდ უწყლობა მეტად აბრკოლებს სოფლის წინსვლელობას, და აუტანელ გასაჭირში აგდებს როგორც ხალხს, ისე საქონელს. აი ამ ნაკლის თავიდან ასაშორებლად, სოფელმა გადასწყვიტა არ შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას და წყალი გამოიყვანოს. მათ სათანადო თხოვნით მიჰმართეს საადგილ-მამულო კომისიას, რომელმაც 25 ოქტომბერს გამოგზავნა ინჟინერი ბ. დიასამიძე და ტეხნიკი ბ. რჩეულიშვილი ადგილების დასათვალიერებლად. ესენი მეტად გულმოდგინეთ მოეკიდნენ საქმეს, შეადგინეს დაახლოვებით საჭირო ხარჯთ აღრიცხვა და აღუთქვეს სოფელს ამ საქმეში ყოველმხრივი დახმარება. რასაკვირველია თანხის ერთ ნაწილს და წვრილ ხარჯებს სოფელი თვითონ ეხლავე გამოიღებს, მხოლოდ საჭიროა ამ ძნელ დროს კრედიტის გახსნის სახით სოფლის დახმარება, თორემ სად შეუძლიან გლეხს ამ ჟამად ას თუმნობით ნაღდათ ხარჯვა. აღსანიშნავია, რომ ინჟინერის მოსაყვანად საჭირო ფული სოფლის ქალობამ იკისრა. ამის ინიციატივა გამოიჩინა ერთმა ადგილობრივმა მანდილოსანმა. სოფლის საქებურად უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველამ გამოიღო თავისი წვლილი, აბაზობით და ორშაურობით შეიკრიფა საჭირო სამი თუმანი. იმედია ეს ხალისი და შეგნება შერჩება სოფელს საქმის გათავებამდე. მეორე სოფლის დიდი საზრუნავი დღეს ტყის შესყიდვა არის, რომელიც დღემდე კონსტანტინე ამირეჯიბს ეკუთვნის. რადგანაც პატრონს დაუპირებია მისი გაყიდვა, სოფელმა ყოველივე ღონე უნდა იხმაროს და შეისყიდოს ეს ტყე, თუ არ უნდა, რომ მამული სხვის ხელში გადავიდეს. საჭირო სესხის შოვნა, ჩვენის აზრით, შეიძლება თუნდ იმავე საადგილ-მამულო კომისიაში, რომლის ერთად-ერთი მიზანია ამ გვარ შემთხვევებში დაეხმაროს სოფელს.

ვერა და ვერ ეღირსა ს. ბეკმის სკოლას წესიერ კალაპოტში ჩადგომა· შემოდგომამ ლამის არის ისე გაიაროს, რომ სოფლის ბავშობა ვერ ეღირსოს შესაფერ სწავლას. ბ. ხაბურზანია ამ სკოლის ახლად დანიშნული გამგე, ჯერაც არ გამოცხადებულა. სად იმყოფება, ან რა არის მიზეზი მისი მოუსვლელობისა ეს მხოლოდ თვით ბ. ხაბურზანიამ იცის, დირექციას კი ის ადგილზე ჰგონია, რადგანაც მის სახელზედ სხვა და სხვა მოწერილობას ჰგზავნის. ამ ორი კვირის წინად გამოცხადდა მხოლოდ უმცროსი მასწავლებელი-ქალი, ისიც ტომით არა ქართველი...

როგორ გინდათ შეაყვაროთ სოფელს სკოლა ამ გვარ პირობებში, როდესაც ხარჯი ხარჯად მისდის, ბავშობა კი ასე უბრალოდ ცდება. ამისთანა სკოლის წინააღმდეგი გლეხი კი არა ყველა იქნება. ბ. ახალ გამგეს კი არას გზით არ ეპატიება ასეთი დაუდევრობა და სოფლის აბუჩად აგდება.

ვინცანიძე.

---

*) სოფლად ხმას ავრცელებენ ვითომც მამული გერმანელებმა მოსწამლეს.

დეპეშები

პეტროგრადი, 1 ნოემბერი. სურსათის საქმის საგანგებო საბჭოს თავმჯდომარემ პეტროგრადისა და მოსკოვის რწმუნებულებს შეუთვალა: სპეკულიაციის ასაცილებლად, უფლება გაქვთ სახაზინოდ შეიძინოთ ის სურსათი, რომელიც სადგურებზე არის დაბანდებული, პატრონი არ იხსნის და საჯარო ვაჭრობით იყიდება. ამ სურსათს ხალხის საჭიროებას მოახმართ. ასეთ სახაზინოდ ჩარიცხულ და გამოსყიდულ სურსათის ფასს დააწესებთ საამისოდ არსებულ ფასის მიხედვით. ასეთივე ზომის მიღება საჭიროა იმპერიის იმ ადგილებშიაც, სადაც სურსათ-სანოვაგის რეკვიზიციაა საჭირო, ხოლო განსაზღვრული ნიხრი კი არა არსებობს.

რომი. 1 ნოემბერი ავსტრიელმა მფრინავებმა დილით 115 ყუმბარა ჩამოაგდეს ვერონში. მოკლულია 28, მძიმედ დაჭრილია 31, მსუბუქად 11.

პარიზი, 1 ნოემბერი. დღეს საფრანგეთის ბევრ ქალაქში ბრწყინვალეთ იდღესასწაულეს ბელგიის მეფის დაგვირგვინების დღე.

პარიზი, 1 ნოემბერი. არტუაში და ბირონტთან გერმანელებმა უეცრივი იერიშით აიღეს ჩვენი თხრილების ერთი რიგი, მაგრამ კონტრიერიშით ისევ დავიბრუნეთ. გერმანელებმა თხრილებში დასტოვეს თავიანთი დაჭრილები. ლოსისა და სუშეს მიდამოებში უმნიშვნელო საარტილერიო სროლაა. ენის ჩრდილოეთით ნუვროს გორაკებზე ვგონებ მარჯვედ ვესროდით გერმანელთა სიმაგრეებს. შამპანში ჯერაც არ შეწყვეტილა სასტიკი საარტილერიო ბრძოლა მენილეს მწვერვალთა რაიონში და მაასის მარჯვენა ნაპირებზე დე-შევალიეს ტყემდე.

ჰავრი, 1 გიორგობისთვე. ბელგელთა უწყება. მტრის არტილერია შეუწყვეტლივ უშენდა დიქსმიუდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ პოზიციებს. ჩვენი ბატარიები ენერგიულად უპასუხებდნენ.

რომი, 2 გიორგობისთვე. ლედროს ღელეში ნატოლის მწვერვალებიდან მტერმა საშინელი სროლა აგვიტეხა ზარბაზნებიდან. მოიხმარეს ცეცხლის მომკიდებელი ყუმბარებიც, მაგრამ მაინც ვერა დაგვაკლეს რა. იზონცოზე ჩვენ მარჯვედ ვიბრძვით. კრასოზე იერიშით ავიღეთ მტრის გამაგრებული პოზიცია. ჩვენი მფრინავები, მიუხედავად უამინდობისა, თავს დაესხნენ კრასოს და ყუმბარები ჩამოჰყარეს როფენბორგის სადგურში. ფრენის დროს მათ შენიშნეს ორი მტრის მფრინავი და გააქციეს კიდეც· ჩვენი მფრინავნი უვნებლად დაბრუნდენ.

ბუქარესტი, 31 ოქტომ. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ვილჰელმის განკარგულებით ფელდმარშალმა მაკენზენმა ბულგარეთის მთავარ სამხედრო ბანაკს აცნობა, სერბეთიდან წამოღებული მთელი დავლა ბულგარეთს გადაეცემაო.

პარიზი, 1 ნოემ. „ტან“-ი სწერს: იტალეთი მიემხრო შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რათა საბერძნეთი გააფრთხილოს, ისეთ პოლიტიკას ერიდოს რომელიც სერბეთის მიმართ შენს მოვალეობას დაგავიწყებსო.

კარდისკონი, 1 გიორგობისთვე. ჰამბურგელი გემი „ურაკუსი“ რომელიც ქვანახშირითა და მანქანებით იყო დატვირთული, კარლსკორთან ნაღმს წააწყდა და დაიმსხვრა. ზედმყოფნი გადაარჩინეს.

ცეტინიე, 1 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში გრახოვოს მიდამოებში და ბოსნიის ზოგიერთ ადგილებში გამწვავებული ბრძოლა იყო. ჟერცეგოვინაში მოპირდაპირე მთაშავეთის პოზიციებს გაშმაგებით უშენდა ზარბაზნებს და ქვეითა ჯარით მედგარი იერიშები მოჰქონდა, თუმცა უნაყოფოდ. მტერი დიდად დაზარალდა. მთა-შაველებმა ხელთ იგდეს თვალსაჩინო რიცხვი ავსტრიელების, რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი სურსათი და ჰაეროპლანი.

თეირანი, 1 ნოემბერი. შაჰმა მოისურვა რუსეთის ელჩის ნახვა და დღეს სადარბაზოდ მიიღებს. ამ ამბავს სპარსელები დიდს მნიშვნელობას აძლევენ. რუსეთის მისსიამ სპარსელების მიმართ მოწოდება გამოსცა. სადაც ნათქვამია, რომ რუსეთმა დიდი ჯარი გამოჰგზავნა როგორც რუსეთის, ისე სპარსეთის წინააღმდეგ მოქალაქეთა ასალაგმავად. რუსეთის მთავრობა სპარსეთის მთავრობასთან ერთად იძულებულია ბოლო მოუღოს ავსტრია-გერმანიისა და ოსმალეთის დამღუპველ აგიტაციას, რათა ორთავე სახელმწიფოს მეგობრული კავშირი განამტკიცოს. სპარსელებს უნდა ახსოვდეთ, რომ რუსეთის მახვილი მიმართულია არა მათ წინააღმდეგ, არამედ მათი სახლობისა და ავლადიდების დასარბევად. რუსეთის მახვილი მიმართულია ყველა აგიტატორებისა და იმათ წინააღმდეგ, ვინც ანგარების გულისათვის რუსეთის მტრებს უმეგობრდებიან და რუსეთის სამტროდ მოქმედებენ.

სტოკჰოლმი, 2 გიორგობისთვე. გუშინ [illegible] გაემგზავრა 14 ცნობილი [illegible], რათა ადგილობრივ გამოარკვიონ საფრანგეთის დამოკიდებულება შვეციის მიმართ. ისინი საფრანგეთის ბრძოლის ასპარეზსაც დაათვალიერებენ,

კოპენჰაგენი, 2 გიორგობისთვე. ბერლინიდან ცნობა მოვიდა, კავშირის საბჭომ დაადგინა, ოქროს გაზიდვა და ტრანზიტი აიკრძალოს.

ტოკიო, 2 გიორგობისთვე. ოსაკის თოფხანაში თავი მოუყარეს 120 მექარხნეს შეკვეთილ სამხედრო მასალის გასინაწილებლად, რომ უფრო სწრაფად მზადდებოდეს იგი.

კოპენჰაგენი, სოფიიდან იტყობინებიან: მეუღლის ავადმყოფობის გამო უსკიუბში დაბანდებული რუსეთის კონსული სტრემულაევი ეხლა აქ ჩამოიყვანეს.

თეირანი, 2 გიორგობისთვე. (სწრაფი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ყაზახთა ბრიგადის უფროსს გადასცა, ვითომ შაჰი დღეს ქალაქიდან გასვლას აპირებდეს ნაზირ-ვეზირთა თანხლებით. თუ ეს ამბავი გამართლდა, მაშინ თეირანის ბედი ყაზახთა ბრიგადისა და პოლიციის ხელში გადავა. როგორც სჩანს ჟანდარმერიაც წასასვლელად ემზადება.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან.	. 12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან.	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან(სწრ.)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ.
„ საღ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ .	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ.	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ტ წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.